# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ფულიანობით და ქონებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 15 მაისი, 2010 წელი.

№90 (6456)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


ნომრის კარიკატურა




## სერგეი ლავროვის აზრით, საქართველოში ამჟამად შეურაცხადი ხელისუფლებაა

3



## პრეზიდენტმა, ქართველობა სომხურ ეთნოსს ნიშნავსო

2

## ნინო ჯანგირაშვილის ძმამ ეკლესიას და სამღვდელოებას აგინაო

## ტყუილებით გაჟღენთილი ქვეყანა

8

## არგენტინიდან უძვირფასესი განძია ჩამოსატანი

6



არგენტინელი პაპავა-ჭეიშვილები მთელი თხუთმეტი წელიწადია ელიან, რომ მათი უძვირფასესი საჩუქარი საქართველომ ჩაიბაროს და უპატრონოს.



## რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფრიდონ ხალვაში საუკუნისკენ მიიწევს

9

## ბრძოლას ხელისუფლებას ყური ბარემ უჭირავს, რას იტყვიან სხვები, შინაური ამომრჩეველი კი ფეხებზე ჰკიდია

4

## როგორ ებრძოდნენ ადგილობრივი წითელი პროფესორები ბათუმში ეკლესიის გახსნას

5

## ქართული მზე პარიზშიც ამოვაო...



12

ერიჰა!

# დნეპრდალეულმა პრეზიდენტმა რუსთაველი ჩაგვაშხამა

**6 მაისს, 16 საათზე, ბათუმში მისივე სახელობის ქუჩის გასწვრივ, ბარბარეს ეკლესიის გვერდით, გაიხსნა შოთა რუსთაველის ბიუსტი, რაც ფრიად სასიხარულო მოვლენად იქცა, ხელისუფლების მიერ ილია ჭავჭავაძის ძეგლის დემონტაჟისა და მისი თეატრის უკან მიჩქმალვის ფონზე.**

ეს მოვლენა ფართოდ გააშუქეს ადგილობრივმა და ცენტრალურმა ტელეარხებმა. მთელმა საქართველომ ნახა, თავის ექსპრომტულ გამოსვლაში, როგორ ჩაგვაშხამა პრეზიდენტმა შოთა რუსთაველის ბიუსტის დადგმით მოგვრილი სიხარული, როცა, როგორც რუსები იტყვიან, однозначно განაცხადა, რომ ქართველობა სომხურ ეთნოსს ნიშნავს. ცხადია, სომხური ეთნოსის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, როცა საქმე სომხებს ეხება, მაგრამ ქართველობის სომხურ ეთნოსთან და, პირიქით, სომხური ეთნოსის ქართველობასთან გაიგივება, ისეთივე ნონსენსი და, გნებავთ, აბსურდია, როგორც რუსული ეთნოსის ქართველობასთან გაიგივება. როგორც ჩანს, ტელეარხების რედაქციები გვიან ჩასწვდნენ ამ მზაკრულ გამონათქვამს და დღის მთავარ და ღამის საინფორმაციო გამოშვებებში პირწმინდად ამოჭრეს ეს სულელური, გნებავთ — ანტიქართული ალუზია, რითაც ბატონმა მიხეილმა ქართლოსი ჰაოსის ჩარჩოში ჩასვა.

6 მაისის საღამოს ბათუმის ქუჩებში ყველას ეს ფრაზა ეკერა პირზე, იყო ცხარე კამათი და შეხლა-შემოხლა, თუ რაში დასჭირდა „მაგარ" მიშას ქართველობის ასე გაბიაბრუება. ეს მსუბუქად. მაგრამ საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ამ ფრაზის უკან ჭკვიანი მტერი უნდა იდგეს, თორემ უგნური, გნებავთ, სულელი მოყვარე იმის უფლებას თავს არ მისცემს, მსგავსი რამ აკადროს ქართველ ხალხს. ისიც გვახსოვს, ბატონმა მიხეილმა საქართველოს არგონავტების ქვეყანა რომ უწოდა. როგორც ჩანს, უკრაინისა და შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში „მაღალ დონეზე" ისწავლება ეთნოლოგია, თორემ თბილისის ან ბათუმის უნივერსიტეტი რომ დაემთავრებინა, ამას ვერ „მოახერხებდა".

მაინც უნდა ვიკითხოთ, რაში დასჭირდა საქართველოს პრეზიდენტს ქართველების სომხურ ეთნოსთან გაიგივება?

ამ კითხვის პასუხი არა მაქვს, პატივცემულო მკითხველო. კიდევ მეტიც — ხვალ სომხებმა რომ გვითხრან, შოთა რუსთაველი სომეხიაო და ბატონი მიხეილი დაიმოწმონ, რა ჯანდაბა ვუპასუხოთ?! რომ გვითხრან, ქართველებო, თქვენი პრეზიდენტი ჩვენი სისხლი და ხორციაო, რა ვუთხრათ?!

ახლახან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" ვწერდი, ბატონი მიხეილი ახალ-ახალ ფსიქიკურ ფლუიდებს გვთავაზობს-მეთქი, და მანაც არ დააყოვნა. მინდა, ვკითხო ბრეჟნევის ეპოქაში ჩარჩენილ მეხოტბე პოლიტოლოგ-მიმომხილველებს, მართლაც ერთი და იგივე ხომ არ არის ქართველობა და სომხური ეთნოსი? უნდა ვკითხო საპარლამენტო „ბოლშევიკებსა" და ნაცმოს იდეოლოგებს — ერთი და იგივეა სომხური ეთნოსი და ქართველობა?!

როგორც ჩანს, საქართველოში მართლაც ბნელა, თორემ განათლებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში ეს ნონსენსი სრულიად საკმარისია პრეზიდენტის იმპიჩმენტისათვის.

ვინ იცის, იქნებ ჩვენი დნეპრდალეული პრეზიდენტი შორსმჭვრეტელია, ხოლო ჩვენი, ეროვნულ უნივერსიტეტში აღზრდილი ადამიანების თვალთახედვის ისარი მოკლეა?! **მიუხედავად ამისა, ყველა შემთხვევაში მისი ზნეობრივი ვალდებულებაა საჯაროდ მოუხადოს ბოდიში ქართველ ხალხს, თავისი დაბალი ინტელექტისა და განათლების დეფიციტის გამოისობით გაუწონასწორებელი გამოსვლის დროს ჩვენი ეროვნული ღირსების შელახვისათვის.**

დიდი ცოდვა მიუძღვის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურას, თავის დროზე რომ არ გამოიჩინა „გულისხმიერება" და მისაღებ გამოცდებში „ჩაჭრა" ოქროსმედალოსანი და უაღრესად პერსპექტიული ყმაწვილი. ასე რომ არა, იგი ეროვნულ ნიადაგზე იდგებოდა, განათლების დონეს და ინტელექტს აიმაღლებდა და, რაც მთავარია, ქართველობა და უცხო ქვეყნის ეთნოსი ერთმანეთში აღარ აერეოდა. ახია თქვენზე, ჯერ რომ ჩამოგალაზორანტეს და უმეტესობა გაგაძევეს უნივერსიტეტიდან. როგორც ჩანს, არ გეყოთ „უნარები" და ვერ შეიცანით, მიშა რომ „მაგარია".

ჩვენი ფიქრით, ეს არის ნელი მოქმედების ნაღმი საქართველოს წინააღმდეგ, რომელსაც, კაცმა არ იცის, რომელ ჩარჩოში ჩასვამს და როდის აამოქმედებს მას თავად სომხური ეთნოსი.

**„ქართული აკადემიის" (არა სომხურის) აჭარის წარმომადგენლობის სახელით**
**შოთა ზოიძე,**
**მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.**
**ქ. ბათუმი. 6 მაისი, 2010წ.**

ბრიფინგი

# ნინო ჯანგირაშვილის ძმა ეკლესიას და სამღვდელოებას აგინებდა?

## „ფაშისტი" მართლმადიდებლების დევნა გრძელდება

**ამ კონკრეტულ დაპირისპირებაში თითქოს პოლიტიკური არაფერია, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების ორად გახლეჩის საშიშროება ახლა ყველაზე მეტად იგრძნობა. თბილისელთა აზრი ორად გაიყო. ერთნი, ტრადიციულ ზნე-ჩვეულებებს, მართლმადიდებლურ ფუნდამენტალიზმსა და მამა-პაპათაგან შთამომავლობით მიღებულ სიწმინდეებს იცავენ, არიან მეორენი — ლიბერალიზმის საბურველში გახვეულნი, რომლებიც მხარს უჭერენ ყოველგვარ თავისუფლებას, ზღვარგადასულსაც კი. ასეთ დროს მესამე ჯგუფის გამონახვა რთულია, რადგან ან უნდა იყო ქრისტიანი, ან — არა.**

სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა, რომელიც დაფუძნებისთანავე კრიმინალურ, ფაშისტურ ორგანიზაციად მოინათლა, ბოლო ორი კვირის განმავლობაში აქტიურად იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. ჯერ იყო ვინმე ირაკლი დეისაძის წიგნის გამო ატეხილი სკანდალი, ხოლო შემდეგ ტელეკომპანია „კავკასიაში" განვითარებული მოვლენები, რის შემდეგაც მართლმადიდებლური მოძრაობის 8 წევრი დღესაც დაკავებულია. მოძრაობის დამფუძნებელი ჟურნალისტი მალხაზ გულაშვილი მის შვილზე მოსალოდნელი ძალადობის შიშით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გადავიდა და ცხინვალს აფარებს თავს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის ოფისში გუშინ სპეციალური ბრიფინგი გაიმართა, სადაც ელიზბარ ჯაველიძემ, ბაია ამაშუკელმა და ლელიკო ჯაფარიძემ განცხადებები გააკეთეს: **„ბოლო ხანს პრესითა და ტელევიზიით დაბეჯითებით ხორციელდება ჩვენი ორგანიზაციის და კერძოდ, მალხაზ გულაშვილის მიზანმიმართული დისკრედიტაცია. „კავკასიაში" მომხდარი ინციდენტი არის თავად ამ ტელევიზიის, ხელისუფლების და „თავისუფლების ინსტიტუტის" დაგეგმილი. გულაშვილს არ ჰქონდა დრო და არც სურვილი, დაპირისპირება მომხდარიყო".**

მოძრაობაში ამბობენ, რომ მათზე მუქარა და ზეწოლა გრძელდება. მათი ოფისის ორი გასაღები შინაგან საქმეთა სამინისტროში ინახება. ვარაუდობენ, რომ შესაძლოა ღამით რამე მაკომპრომეტირებელი დადონ ოთახებში, რათა შემდეგ მოძრაობის იმიჯი შელახონ. **„ორიოდე დღის წინათ მოძრაობის ერთ-ერთი წევრი დაჭრეს",** — ამტკიცებს ელიზბარ ჯაველიძე, — **აქციაზე იმყოფებოდა ე. წ. ადვოკატი, ნინო ჯანგირაშვილის ძმა, რომელთანაც შეხლა-შემოხლა მოხდა. ის აგინებდა ეკლესიას, სამღვდელოებას, იმ პატიმრებს, რომლებთანაც მას კონფლიქტი ჰქონდა „კავკასიაში". ამ შელაპარაკების დროს კი ერთ-ერთი ჩვენი მომხრე დაიჭრა. თუმცა პროკურატურა, გამოძიება ტენდენციურია და არ დაკითხავენ იმ მოწმეებს, რომელთაც ობიექტური ინფორმაციის მიწოდება შეუძლიათ".**

სანამ გულაშვილის თანამებრძოლები საკუთარი სიმართლის დამტკიცებას ცდილობენ და „თავისუფლების ინსტიტუტს" ებრძვიან, მალხაზ გულაშვილი ცხინვალში სახალხო მართლმადიდებლურ მოძრაობას აფუძნებს. მან თავი მოუყარა იქ მცხოვრებ აფხაზებსაც კი და მათთან ერთად სრულ ჰარმონიაში აგრძელებს მოღვაწეობას. გულაშვილის მეუღლის განცხადებით, სააკაშვილის რეჟიმისგან დევნილ ქართველს ოსები და აფხაზები მოწიწებით ეპყრობიან.

ელიზბარ ჯაველიძის თქმით, თანამებრძოლის დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით ჩივილს არ აპირებენ, მაგრამ პოლიციას კი ურჩევენ ამ ინციდენტით დაინტერესებას. რაც შეეხება „კავკასიაში" მომხდარ დაპირისპირებას, მართლმადიდებლური მოძრაობის ინიციატივით საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისია შეიქმნება, რომელსაც, მართალია, არ ექნება სამართლებრივი საფუძველი, მაგრამ ექნება ზნეობრივი უფლება.

**ბაია ამაშუკელის თქმით, საქართველოში არსებობენ პოლიტიკური პატიმრები, მაგრამ ამიერიდან არსებობენ სარწმუნოებისთვის დევნილი პატიმრებიც. ქრისტიანული მოძღვრების უმთავრესი კრედო თავმდაბლობა და მიმტევებლობაა, მაგრამ მართლმადიდებლური მოძრაობა ლიბერალურ ღირებულებებთან შეგუებას არ აპირებს: „ჩვენ ვებრძვით უზნეობას, ისინი კი ებრძვიან ქართულ ტრადიციებს, ენას, ცნობიერებას", — ამბობს ელიზბარ ჯაველიძე. ასეთ დროს ბრძოლა გამართლებულია, მაგრამ, ალბათ, უმჯობესია, ეს ბრძოლა იყოს ყოველგვარი ძალადობის გარეშე.**

**ნია ფიფია**

დოკუმენტები

# სემნებს წინასაარჩევნო დარღვევებზე ესაუბრნენ



**„ალიანსმა" სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს წინასაარჩევნო დარღვევების შესახებ დოკუმენტაცია გადასცა.**

როგორც „ალიანსის" ლიდერმა და თბილისის მერობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ პიტერ სემნებთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, დოკუმენტაციაში ქართულ მედიაში პოლიტიკური პროცესების გაშუქების კუთხით არსებული მძიმე სიტუაციის შესახებ, ოპოზიციის მომხრეებზე პოლიციისა და ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან ზეწოლის ფაქტებზე და სხვა კანონდარღვევაზეა საუბარი.

ამასთან, მისივე განმარტებით, საერთაშორისო ორგანიზაციებმა აქტიურად უნდა მიიღონ მონაწილეობა, როგორც წინასაარჩევნო პროცესის, ისე უშუალოდ ხმის მიცემის პროცედურის დაკვირვების პროცესში, „რათა საქართველოს თითოეულ მოქალაქეს გაუჩნდეს განცდა, რომ მათი არჩევანი იქნება კონფიდენციალური და ექნებათ არჩევანის თავისუფლება".

**ჯი-ეიჩ-ენი**

დავა

# „აირზენა" ზურაბ ნოღაიდელს სიცრუეში ადანაშაულებს

**ავიაკომპანია „აირზენა" მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერს ზურაბ ნოღაიდელს სიცრუეში ადანაშაულებს.**

— ბატონი ზურაბის მიერ გაკეთებულ კომენტარებში ბევრი არასწორი ინფორმაციაა და გვრჩება შთაბეჭდილება, რომ მას სურს საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს და თუკი რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის აღდგენის კუთხით



პოზიტიური ძვრები არსებობს, თავად დაიბრალოს. პირდაპირ ვამბობთ, რომ ბატონი ნოღაიდელი ტყუის, როცა ამას ამბობს. საშობაოდ და სააღდგომოდ შესრულებულ ჩარტერულ რეისებთან დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებებში არც მას და არც სხვა პოლიტიკოსს მონაწილეობა არ მიუღია, — აცხადებს „აირზენას" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი.

მისივე განმარტებით, „2009 წლის 25 დეკემბერს ნოღაიდელმა განაცხადა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ჩარტერული რეისების შესრულებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გამართვაზე მოსკოვმა უარი თქვა იმ მიზეზით, რომ ქუთაისში „დიდების მემორიალის" აფეთქება მოხდა, თუმცა 27 დეკემბერს, „აირზენამ" რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროსგან აღნიშნულთან დაკავშირებით თანხმობა მიიღო".

შეგახსენებთ, რომ ქვეყნის ყოფილ პრემიერს არაერთხელ განუცხადებია, რომ მოსკოვის მიმართულებით საშობაოდ და სააღდგომოდ ჩარტერული რეისების შესრულება მისი დამსახურებაა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ინფორმაცია

## ოკუპანტებმა კიდევ ერთი ქართველი გაიტაცეს

**გორის რაიონ სოფელ ბერშუეთიდან რუსმა ოკუპანტებმა გოჩა ბერიაშვილი გაიტაცეს.**

**გატაცებულის ახლობლების ინფორმაციით, იგი ტყეში შეშის მოსაჭრელად იმყოფებოდა, საიდანაც გაიტაცეს.**

**ოკუპანტები და ოსი სეპარატისტები გოჩა ბერიაშვილს ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში ადანაშაულებენ.**

## დაკავებულები გაათავისუფლეს

**— გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაკავებული ქართველები უკვე გაანთავისუფლეს, — ამის შესახებ აფხაზეთის ავტონომიური მთავრობის გალის მიმართულების ხელმძღვანელმა თორნიკე კილანავამ განაცხადა.**

**მისი ინფორმაციით, რუსმა ოკუპანტებმა გალის ოკუპირებული ტერიტორიიდან ზუგდიდის მიმართულებით მოძრავი მანქანა ხუთშაბათს, გვიან ღამით სოფელ ღვაშგვერდში გააჩერეს.**

**ოკუპანტებმა 5 მგზავრი გალის იზოლატორში გადაიყვანეს, მათ შორის ნესტან ბაძაღუა თავისი 6 თვის ბავშვით.**

**ბაძაღუას ახლობლების ინფორმაციით, ბავშვს მთელი ღამის განმავლობაში მაღალი სიცხე ჰქონდა, მიუხედავად ამისა, სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა მათ იზოლატორში წამლის შეგზავნის უფლება არ მისცეს.**

**დაკავებულები ჯარიმის გადახდის შემდეგ გაანთავისუფლეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

„ვზგლიადი“

***ქართულ-რუსული** ურთიერთობები აგვისტოს ომის ორი წლის შემდეგაც ისეთივე აქტუალურია, როგორც იმ დაძაბულ დღეებში იყო. დრო ყველაფრის მკურნალიაო, ამ შემთხვევას არ ესადაგება. ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება სულ უფრო და უფრო „ბოროტდება“ და რამენაირად ცდილობს რუსეთისთვის „სამაგიეროს“ გადახდას, თუმცა პრაგმატული ევროკავშირი და ლიბერალური ობამა ამის საშუალებას საკმარისად არ იძლევა. ამ ფონზე „გათავხედებულ“ რუსულ ინტერესებსა და მისწრაფებებს ზღვარი არა აქვს, ამიტომაც ცოტა არ იყოს უსუსურად გამოიყურება ქართველი ოპოზიციონერების ვიზიტები მოსკოვში და ის დაპირებები, თითქოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობები მეტ-ნაკლებად მოგვარდება.*

# სერგეი ლავროვი: ადრე თუ გვიან საქართველოს სათავეში შერაცხადი ხელისუფლება მოვა

## სააკაშვილის რეჟიმი რუსეთთან დაუმთავრებელი ომის ატმოსფეროს შენარჩუნებითაა დაინტერესებული

თუმცა ამ შეხედულებებს ამჟარებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **სერგეი ლავროვი,** რომელიც გამოცემა „ვზგლიადისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზება აუცილებლად მოხდება: **„დარწმუნებული ვართ, ადრე თუ გვიან, საქართველოს ხელისუფლებაში დემოკრატიული გზით მოვლენ ფსიქიკურად ნორმალური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პოლიტიკოსები და ძირეული ეროვნული ინტერესებით იხელმძღვანელებენ, რომელთა შორის უმთავრესი უახლოეს მეზობლებთან თანხმობაში ცხოვრებაა. ეს რუსულ-ქართული კეთილმეზობლობის ტრადიციების სრულმასშტაბიან აღდგენას შეუწყობს ხელს“.**

ქართულ პოლიტიკურ ელიტას, რა თქმა უნდა, ლავროვის ცრემლებისა არ სჯერა. თუმცა ლავროვმაც კარგად იცის ამ განწყობის შესახებ, ამიტომაც ამბობს, რომ პოლიტიკოსთა ეს ანტირუსული ისტერია ქართველების განწყობას არ ასახავს.

ქართული მხარის ოფიციალური მონაცემებით რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია დაიწყო და სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეტევები განახორციელა. აგრესიის შედეგად დაიღუპა 228 საქართველოს მშვიდობიანი მოქალაქე, 146 სამხედრო პირი, 14 პოლიციელი. დაკარგულად მიიჩნევა 23 ჯარისკაცი, ხოლო სახლები დატოვა თითქმის 150 ათასმა ადამიანმა. დღემდე დევნილია 26 ათასი ადამიანი, ხოლო დაკარგულია საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი. ეს ტრაგედია, ბუნებრივია, ქართველებს არ აავიწყდებათ.



თუმცა ერთი ქალბატონის თქმისა არ იყოს, როცა შვილი მძევალია, სწორედ მას დაელაპარაკები, ვინც ეს შვილი მოგტაცა, რათა მისი კლანჭებიდან იხსნა. ეს ყოფითი ბანალობა სულაც არ არის მაგალითი საქართველოს ხელისუფლებისთვის, რომელიც თითქმის არაფერს აკეთებს დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად.

სწორედ ამიტომაც აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომ **„სააკაშვილის რეჟიმი რუსეთთან დაუმთავრებელი ომის ატმოსფეროს შენარჩუნებითაა დაინტერესებული. მას ეს სჭირდება როგორც ქვეყნის შიგნით კონსოლიდაციისთვის, ისე თავისი თავისადმი საერთაშორისო საზოგადოების უკვე დნობადი ინტერესის მხარდასაჭერად“.**

სერგეი ლავროვმა სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქართულ-ამერიკული ქარტიის მნიშვნელობაზეც ისაუბრა. **„ეს დოკუმენტი, რომელსაც ხელი 2009 წელს მოეწერა, ჩარჩო პოლიტიკური დეკლარაციაა (არსებითად კი ცნობილი პორპაგანდისტული კლიშეების ნაკრებია) და მას არავითარი სამართლებრივი შედეგი არ მოსდევს. ეს იყო ერთგვარი „დამამშვიდებელი საჩუქარი“, რომელიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს ბუშის წარმავალმა ადმინისტრაციამ გაუკეთა, თუმცა მაინც ვერ შეძლო „გაეტანა“ საქართველოსთვის ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭების საკითხი“** — აღნიშნა მინისტრმა.

სერგეი ლავროვი ადასტურებს ქართველი ოპოზიციონერი პოლიტიკოსების ვარაუდს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლა მალე აღდგება. მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით დაბრკოლებებს ვერ ხედავს.

მოსკოვი ომის დაწყებაში ქართულ მხარეს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებასთან არც ერთ თემაზე მოლაპარაკებას არ აწარმოებს, თუმცა იქვე „გულისტკივილით“ აღნიშნავს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომ **„მანიაკალური სიჯიუტით ნადგურდება ყველაფერი: სულიერი, კულტურული და ნათესაობრივი, რაც ქართველებსა და რუსებს აერთიანებს“.**

**ქართველებსა და რუსებს შორის არის ძალიან ბევრი რამ, რაც ერთმანეთთან აშორებთ, მაგრამ მართლაც არის უამრავი რამ, რაც საერთო აქვთ. სხვა რომ არაფერი, მილიონი საქართველოს მოქალაქე სწორედ რუსეთშია მიმობნეული. ამ ფონზე უმოქმედობა არავის არგებს. ლავროვი კი დაჟინებით ამბობს, რომ მოსკოვი მხოლოდ იმ დროს დაელოდება, როცა საქართველოს ხელისუფლების სათავეში შერაცხადი ხელისუფლება მოვა...**

**თეა მოსია**

მე-4 საერთაშორისო



# თბილისი ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა ოლიმპიადას მასპინძლობს

***შერატონ** მეტეხი პალასში ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა მე-4 საერთაშორისო ოლიმპიადა გაიხსნა, რომელიც ტარდება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის მხარდაჭერით. სამდღიანი ოლიმპიადის ორგანიზატორები არიან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებები, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი,“ ევროკავშირი-ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში, ტრადიციული სპონსორია „ჯეოსელი.“ ხოლო საინფორმაციო მხარდამჭერია საზოგადოებრივი მაუწყებელი.*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარემ ადემ ონალიმ აღნიშნა, რომ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა ოლიმპიადამ ტრადიციული ხასიათი მიიღო. 2007 წლიდან მოყოლებული უკვე მეოთხედ ტარდება. წლეულს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 33 განაცხადი შემოვიდა და 25 ქვეყნის წარმომადგენელი ჩამობრძანდა. „მონაწილეებს მასპინძლობენ ქართული ოჯახები, სადაც გაეცნობიან ქართულ კულტურას, სამზარეულოს. ისინი დაინახავენ ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობას, რის შედეგადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მივიღებთ საქართველოს მოყვარულ ადამიანებს. სწორედ ეს ურთიერთობაა წინაპირობა იმისა, რომ მსოფლიოში მშვიდობამ დაისადგუროს.“

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა აღნიშნა, რომ სამინისტრო ყოველთვის მხარს დაუჭერს მსგავს ოლიმპიადებს, რადგან ასეთი კონკურსების მეშვეობით ბავშვები ნიჭს წარმოაჩენდნენ. ბავშვს სკოლაში სიარული უნდა უნდოდეს და ასეთი კონკურსები სწორედ ამას უწყობს ხელსო.

თურქეთის ელჩმა საქართველოში ლევენ მურად ბურჰანმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, საორგანიზაციო კომიტეტსა და პროფესორ გიული ალასანიას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ფირმა „ჯეოსელს,“ „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაციას, რომელმაც ოლიმპიადას ტრადიციული ხასიათი მისცა. ყველაზე დიდ პატივისცემას კი მოსწავლეები, ნორჩი გამომგონებლები და მათი პედაგოგები იმსახურებენ. ამ ახალგაზრდებმა შესაძლოა, მომავალი მსოფლიოს ფორმირებაში მიიღონ მონაწილეობაო.

ოლიმპიადის მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი პეტრე მეტრეველი, კომპანია „ჯეოსელის“ გენერალური დირექტორი ოსმან თურანი, საქართველოს პარლამენტის წევრი შოთა მალაშხია, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე...

საუკეთესო პროექტები 15 მაისს გამოვლინდება და გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან.

**ნატა ნიბლაძე.**

ფათიჰ დემირის ფოტო

პრესკონფერენცია

# „ეროვნული საბჭო“ უკანონო გადაწყვეტილებას ასაჩივრებს!

**ადგილობრივი თვითმმართველობის მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ წევრმა ლადო ბოჟაძემ პრესკონფერენცია გამართა.**

მისი განცხადებით, ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში, „ეროვნული საბჭოს“ კანდიდატების დაშინებისა და შანტაჟის შედეგად, ზოგიერთმა მათგანმა უარი განაცხადა პარტიულ სიაში ყოფნაზე. ამის გამო, ყვარლისა და ლენტეხის რაიონებში „ეროვნული საბჭოს“ პარტიული სია ჩამოსცდა 10-კაციან ზღვარს. მომხდარზე აპელირებით ყვარელისა და ლენტეხის პარტიული სია გააუქმეს.

**ლადო ბოჟაძე: „ყვარლისა და ლენტეხის საოლქო, საარჩევნო კომისიების განკარგულებები ეფუძნება საარჩევნო კომისიების არასწორ ინტერპრეტაციას და მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება. ვფიქრობთ მათი გადაწყვეტილება უსამართლოა. ხელისუფლების სურვილი იყო ერთ კანდიდატს მაინც ეთქვა უარი არჩევნებში მონაწილეობაზე და ამას კანდიდატის დაშინებით ახორციელებდნენ. ნებისმიერ სუბიექტს უფლება აქვს ნებაყოფლობით მოხსნას საკუთარი კანდიდატურა საარჩევნო სიიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ არის, ამიტომ მივმართავ შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს და მის უწყებას, შეწყვიტონ ძალადობა და მუქარა. ლენტეხში ძალადობას ახორციელებდა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია. ხოლო ყვარელში — ზურაბ ადეიშვილი და მარიკა ვერულაშვილი. ამიტომ ვაპირებთ ყვარლის და ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიების უკანონო გადაწყვეტილებების გასაჩივრებას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში,** — დასძინა ლადო ბოჟაძემ.

**მეგი ქარდავა**

ინფორმაცია

## უკრაინა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს არ აღიარებსო

**უკრაინის** საგარეო საქმეთა მინისტრი კონსტანტინე გრიშენკო აცხადებს, რომ უკრაინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების საკითხის გადახედვას და აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას არ აპირებს. განცხადება ამის შესახებ გრიშენკომ „კომერსანტ-უკრაინასთან“ საუბრისას გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის ახლანდელი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი გამოვიდა ინიციატივით შემუშავდეს საერთაშორისო კრიტერიუმები აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და სხვა ტერიტორიების დამოუკიდებლობის ასაღიარებლად.

## ჩარტერული რეისები მოსკოვისკენ შესაძლოა აღდგეს

**თბილისიდან** მოსკოვის მიმართულებით, შესაძლოა, პირდაპირი ავიარეისები მაისის ბოლოს ისევ განხორციელდეს.

ავიაკომპანია „აირზენას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნინო გიორგობიანის განცხადებით, კომპანიამ ჩარტერული რეისების დანიშვნაზე რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს უკვე მიმართა.

— მორიგი ჩარტერული რეისების შესრულებას მაისის ბოლოს, ივნისის დასაწყისში ვაპირებთ. შესაბამისი მიმართვა რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროში უკვე გაგზავნილია და დარწმუნებულები ვართ, რომ დადებით პასუხს მივიღებთ, — აცხადებს გიორგობიანი.

ამასთან, მისი თქმით, მნიშვნელოვანია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადება ორ ქვეყანას შორის რეგულარული ავიარეისების აღდგენის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუმცა, გიორგობიანის განცხადებით, რეგულარული რეისების აღდგენა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას საჭიროებს.

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

# „ხელისუფლებას ყველაზე მეტად აინტერესებს, რას იტყვის არჩევნებზე საერთაშორისო თანამეგობრობა და არა – ქართველი ამომრჩეველი“



**საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის სხვადასხვა ასპექტზე „ინტერპრესნიუსი“ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ხელმძღვანელს ნინო ხატისკაცს ესაუბრა.**

**– ქალბატონო ნინო, როგორ აფასებთ „საერთაშორისი გამჭვირვალობა – საქართველოს“ 30 მაისისათვის დანიშნული საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას?**

– წინა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ამ არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსისა და საბიუჯეტო თანხების გამოყენება გაცილებით ნაკლებია. 2008 წლის არჩევნებზე, ერთი თვით ადრე გაცილებით მეტი დარღვევა იყო, ვიდრე – ახლა. ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ხელისუფლების მხრიდან არის უფრო მეტი ძალისხმევა, კანონის ფარგლებში მოაქციონ საარჩევნო პროცესი და რაც შეიძლება ნაკლები იყოს დარღვევა. ამის მიზეზი, ასევე, შეიძლება იყოს ადგილობრივი არჩევნების წონა, ანუ - თავისი მნიშვნელობით ადგილობრივი არჩევნები ვერც საპარლამენტო და მით უმეტეს ვერც საპრეზიდენტო არჩევნებს ვერ შეედრება. მეორე ფაქტორია ის გარემოება, რომ პოლიტიკური პარტიები აქტიურ საარჩევნო ფაზაში ახლა შედიან და მხოლოდ რამდენიმე პარტია არის წარმოდგენილი რეგიონში. შესაბამისად, საერთო სურათის შეფასებისას ეს ფაქტორები გასათვალისწინებელია. არსებული პრობლემები და დღეს არსებული სურათი არ იძლევა დადებითი შეფასების და იმის თქმის საშუალებას, რომ ყველაფერი კარგად არის.

**– რამდენად თანაბარ პირობებში არიან პარტიები? ოპოზიცია ხშირად აცხადებს, რომ ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსსა და საბიუჯეტო თანხებს იყენებს. თქვენ თუ გაქვთ ამ დარღვევათა კონკრეტული მაგალითები, რაც შემაშფოთებელი შეიძლება იყოს საერთო სურათის შეფასებისთვის?**

– როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ხდება თუ არა წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და არიან თუ არა თანაბარ პირობებში პოლიტიკური სუბიექტები, უნდა გავითვალისწინოდ ორი ტიპის კრიტერიუმი – ერთი, რამდენად ხდება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა და მეორე – საერთაშორისო პრაქტიკა, მათ შორის ეუთოს დოკუმენტები, რომლებიც ასევე სავალდებულოა საქართველოსთვის და, რომელიც ამბობს, რომ პოლიტიკურ პარტიებს და სახელმწიფოს შორის არ უნდა ხდებოდეს აღრევა, უნდა იყოს შეჯიბრებითობა და პოლიტიკური პარტიებისთვის თანაბარი პირობები. როდესაც ვილაპარაკებ კონკრეტულ მათგანზე, ზოგი საქართველოს კანონმდებლობის დარღვევაა, ზოგი – საერთაშორისო სტანდარტების. ჩვენთვის საერთაშორისო პრაქტიკის შესრულება ისეთივე სავალდებულოა, როგორც – საქართველოს კანონმდებლობის.

ყველაზე შემაშფოთებელი დარღვევაა, როდესაც ხდება ამომრჩევლებზე, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებსა და აქტივისტებზე ზეწოლა. ზეწოლა და მუქარა ხორციელდება ტელეფონით ან პირდაპირ დიალოგის დროს. ეს, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის დანაშაულია. ამის გათვალისწინებით, პარტიები, რა თქმა უნდა, არ არიან თანაბარ პირობებში.

პოლიტიკური სუბიექტების არათანაბარ პირობებში ყოფნა უკავშირდება, ასევე, მათ შემოსავლებს წინასაარჩევნო პერიოდში. ამაზე საუბარი სცილდება მხოლოდ საბიუჯეტო ფინანსების ხელისუფლების სასარგებლოდ გამოყენებას და ბიზნესგარემოს პრობლემას უკავშირდება.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მიხეილ სააკაშვილმა საარჩევნო კამპანიისათვის 22 მილიონი ლარის მობილიზება შეძლო, ხოლო ოპოზიციის კანდიდატმა მხოლოდ – 500 ათასი ლარის. ამ თანხების მობილიზება, ძირითადად, პარტიებისა და პარტიული აქტივისტების ხარჯზე მოხერხდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ქვეყანაში თითქოს ბიზნესგარემო კანონით კარგად რეგულირდება, მაგრამ პრაქტიკაში ბიზნესშემოწმებები საკმაოდ სუბიექტურად ხორციელდება. ბიზნესწრეები თავის თავს თვითცენზურას უწესებენ და იგივე ოპოზიციურ კანდიდატებს იმის გამო არ ეხმარებიან, რომ შემდგომ მათ ბიზნესში პრობლემები არ შეექმნათ.

ამის გარდა, პრობლემურია საბიუჯეტო რესურსები, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტის პრეროგატივაა და ეს თანხები აშკარად მმართველი გუნდისა და მისი კანდიდატების სასარგებლოდ გამოიყენება. 2010 წელს ძალიან ბევრ თვითმმართველობაში, ერთ მესამედზე მეტში, მათ შორის თბილისის მერიის შემთხვევაში გაზრდილია ხელფასები და საშტატო ერთეულები. გარდა ამისა, არის სოციალური პროექტების ზრდა და ისეთი პროექტების განხორციელების ტენდენციები, რომლებიც არ ხორციელდებოდა არასაარჩევნო პერიოდში. საქართველოში სოციალური ფონი ძალიან მძიმეა, ოფიციალურად რეგისტრირებულია 900 ათასზე მეტი სოციალურად შეჭირვებული, დაახლოებით, ამდენივე ელოდება, რომ მიიღოს დახმარება. ეს ფაქტორი, ისეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში, სადაც ერთჯერადი სოციალური დახმარება წინასაარჩევნოდ დიდი ინტენსივობით გაიცემა, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენს საარჩევნო პროცესზე; ცუდი შედეგები მოაქვს ოპოზიციისთვის და, ამავდროულად, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს მმართველ პარტიას.

**– აღნიშნეთ, რომ ყველაზე შემაშფოთებელი ამომრჩევლებსა და ოპოზიციაზე ზეწოლის ფაქტებია. თუ შეგიძლიათ კონკრეტული მაგალითების მოხმობა და როგორ რეაგირებს მათზე ხელისუფლება?**

– რამდენიმე ფაქტს მოგიყვანთ. მე დავასახელებ იმ ფაქტებს, რომლებიც გადამოწმებულია და ერთი წყაროს ინფორმაციას არ ეყრდნობა. ბოლო ინფორმაცია, რაც ჩვენ გვაქვს, ეს არის 5 მაისს ყვარლის რაიონის გამგებლისა და პოლიციის უფროსის მხრიდან „ეროვნული საბჭოს“ კანდიდატებზე ზეწოლა. შედეგად, „ეროვნული საბჭოს“ პარტიული სიით არჩევნებში მონაწილეობაზე ორმა კანდიდატმა თქვა უარი და ამ რაიონში საბჭო დეპუტატობის კანდიდატების სიის გარეშე დარჩა. ის კანდიდატები კი, რომლებმაც უარი თქვეს არჩევნებში მონაწილეობაზე, უკვე აღარ ადასტურებენ ამ ინფორმაციას. ისინი აშკარად შეშინებულები არიან და სახელებს აღარ ასახელებენ იმ ადამიანებისა, ვინც მათზე ზეწოლა განახორციელა.

3 მაისის მესტიის შემთხვევა საკმაოდ გახმაურებული ამბავია. ადგილი ჰქონდა 40-მდე მანქანით რეგიონის გუბერნატორის და სხვადასხვა ძალოვანი უწყებების სტუმრობას სვანეთში. 7 კანდიდატიდან 4-ს დააწერინეს განცხადება და სამმა უარი არ თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე. მათ ოპოზიციის სხვა წარმომადგენლები დაეხმარნენ გამგეობის შენობიდან გამოსვლაში, სადაც მათზე ზეწოლა ხორციელდებოდა. სხვათა შორის, ეს ყველაზე მასობრივი და გახმაურებული შემთხვევა იყო. ეს საქმე დღემდე არ არის გამოკვლეული და ახლა ძიება მიმდინარეობს.

7 აპრილს ლანჩხუთში ბლოკი „ალიანსი საქართველოსთვის“ ერთ-ერთ წევრზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ბუხუტი ჩხაიძემ ზეწოლა განახორციელა. მსგავსი შემთხვევა იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში, სადაც ქართული ენის პედაგოგს სოფლის რწმუნებული დავით გუნდაძე დაუკავშირდა და ოპოზიციასთან კავშირის შემთხვევაში სკოლიდან გაშვებით დაემუქრა. ასეთივე შემთხვევა იყო აპრილის დასაწყისში პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ კვოტით მონაწილე სიის პირველი ნომერ ვიქტორ ჯაფარიძეზე, რომელზეც სატელეფონო ზარის მეშვეობით პოლიციის უფროსმა ზეწოლა განახორციელა, ამის გამო სვანეთში დღესაც ვერ ადის და პრობლემებს უქმნიან.

ასეთივე შემთხვევა იყო „მოძრაობა სამართლიანი საქართველოს“ ახმეტის ოფისის ხელმძღვანელზეც, რომელსაც ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ხანგოშვილი და სოფელ დუისის რწმუნებული მერაბ ქავთარაშვილი 30 წუთი ემუქრებოდნენ. მას შემდგომში სამედიციო დახმარება დასჭირდა. როგორც ხედავთ, პარტიის აქტივისტებზე ზეწოლის ფაქტები საკმაოდ ბევრია.

მნიშვნელოვანია, თუ როგორ რეაგირებს მათზე ხელისუფლება. ცესკო ამგვარ ფაქტებზე რეაგირებისთვის საკმაოდ შეზღუდულია, საგამოძიებო პროცედურებს ვერ განახორციელებს. თუმცა, ყველაზე სწრაფი რეაგირების მექანიზმი აქვს უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდშია შექმნილი და მასში შედიან სხვადასხვა ძალოვანი უწყების, მნიშვნელოვანი სამინისტროებისა და არჩევნებში მონაწილე უწყებების პირველი თუ არა, მეორე პირები. მაგალითად, შსს-ის მოადგილე ეკა ზღულაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია, ჯგუფში, ასევე, წარმოდგენილია გენპროკურატურაა და სხვა მნიშვნელოვანი უწყებები. ამ სამუშაო ჯგუფმა დარღვევების ნაწილზე უკვე მოახდინა შემდეგნაირი რეაგირება. 7 აპრილის ლანჩხუთის შემთხვევაში, ბუხუტი ჩხაიძე თანამდებობიდან არის ჩამოშორებული. თუ მას დაუდასტურდება ის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, მაშინ მხოლოდ თანამდებობიდან გათავისუფლება არ არის დასჯის ადეკვატური ღონისძიება.

რაც შეეხება სამეგრელოს გუბერნატორის ზაზა გოროზიას მესტიაში სტუმრობას, მას რეკომენდაცია აქვს მიცემული, რომ გავიდეს შვებულებაში და არჩევნებთან დაკავშირებულ ღონიძიებებს ჩამოშორდეს. ერთი მხრივ, ეს არის მცდელობა იმისა, რომ ხელისუფლებამ მოახდინოს სწრაფი რეაგირება გამოძიების დასრულებამდე, თუმცა ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება, რომ რეაგირება არ იყოს მოკლევადიანი და მხოლოდ არჩევნების წინაპერიოდში არ ხორციელდებოდეს. მეორე მხრივ, ეს ფაქტები უნდა გახმაურდეს და არ იყოს ცნობილი მხოლოდ და მხოლოდ ქართული საზოგადოებისთვის. ასეთი მოხელეების მიმართ რეაგირება უნდა გახდეს საჯარო, რომ სხვა ადამიანებს ჰქონდეთ პრეცედენტი და შიში იმისა, რომ მომავალში პრობლემები მათაც შეექმნებათ.

**– როგორ რეაგირებთ დარღვევების კონკრეტულ ფაქტებზე? მაგალითად, „ფორუმი“ ამტკიცებს, რომ საბურთალოს რაიონში ამომრჩეველთა რაოდენობა 25% გაიზარდა, „რესპუბლიკელები“ ამტკიცებენ, რომ საარჩევნო სიიდან ამოღებული 12 ათასი ამომრჩეველი ისევ სიაშია შეყვანილი; უგულავასა და დეპუტატ გიორგი მელაძის მონაწილეობით, ბაზალეთის ტბის კომპლექსზე მოეწყო თბილისის კორპუსის თავმჯდომარეების სემინარი, რომელზეც კორპუსების 6 ათას თავმჯდომარეს არჩევნებზე ხელისუფლების სასარგებლოდ კონკრეტული დავალებები მიეცათ... და კიდევ ერთი: პარტიებმა სიების საზუსტებაზე კი იმუშავეს, მაგრამ როგორ მიმდინარეობს საერთო სიებში აღმოჩენილი დარღვევების შესწორების პროცესი?**

– რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებზე რეაგირებას, აქ გვაქვს რამდენიმე ტიპის რეაგირება, ერთი, როგორც გითხარით, არის ანგარიშის გამოქვეყნება, რომელიც რესურსია და კითხვადია არა მარტო ქართული ამომრჩევლისთვის, არამედ ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, ვინც დღეს საქართველოში არჩევნებს აკვირდება. მეორეა ცესკო-სთან და უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფთან აქტიურად მუშაობა. უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანოა, რომელიც კი წინასარჩევნო პერიოდში შეიქმნა და, რომელსაც ყველაზე ეფექტურად შეუძლია მოქმედება და დარღვევებზე რეაგირება.

რაც შეეხება სიების გადამოწმებას, დადებითი ფაქტია, რომ პოლიტიკურ პარტიებსაც მიეცათ შესაძლებლობა, აქტიურად ჩაბმულიყვნენ ამ პროცესში. ასეულ ათასობით მისამართი დაზუსტდა და ცვლილება განხორციელდება. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ტიპის სიების მონიტორინგი არ უნდა იწყებოდეს ორი, სამი თვით ადრე და წინასაარჩევნო პერიოდში. ყველაზე მნიშვნელოვანი იქნებოდა ერთიანი თავსებადი ბაზის შექმნა, რომელზეც ახლა არის მუშაობა დაწყებული. რაც შეეხება იმ დაზუსტებებს, რომლებიც პოლიტიკურმა პარტიებმა გააკეთეს, ამ შემთხვევაში მე ვეთანხმები „რესპუბლიკელების“ განცხადებას 12 ათას ამომრჩეველთან დაკავშირებით. თუ უკვე სიიდან მოხსნილი 12 ათასი ამომრჩეველი, ისევ დარეგისტრირდება, მათ შეუძლიათ, ფაქტობრივად, იმავე ოლქში არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რომელშიც ადრე იყვნენ რეგისტრირებული და იქ მართლა არ ცხოვრობენ. მიუხედავად ამისა, შედეგი მაინც არის მიღწეული, მაგრამ არჩევნების შემდეგაც სიების თემა კვლავ აქტუალური უნდა გახდეს და სიების დაზუსტება მხოლოდ არჩევნების წინ არ უნდა ხდებოდეს.

**– რა ფორმით თანამშრომლობს თქვენი ორგანიზაცია უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფთან, რომელსაც თქვენივე შეფასებით ყველაზე ეფექტიანი და სწრაფი რეაგირება შეუძლია?**

– თანამშრომლობასთან დაკავშირებით ამ არჩევნებს გამოვყოფდი წინა არჩევნებისგან. ამ არჩევნებზე თანამშრომლობის უფრო დიდი მასშტაბები შეიმჩნევა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის. ჩვენი პირველი ანგარიშის პასუხად, ორი გამოხმაურება მივიღეთ. ერთი თავად ქალაქის მერის გიგი უგულავასგან, ხოლო მეორე – უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფისგან. საინტერესო ის იყო, რომ პასუხები ორივე შემთხვევაში ინგლისურ ენაზე იყო შედგენილი. სხვათა შორის, ეს დამაფიქრებელი ფაქტია. შეიძლება, ვივარაუდოთ – ორივე წერილის ინგლისურ ენაზე შედგენა იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლებას ყველაზე მეტად აინტერესებს, რას იტყვის არჩევნებზე საერთაშორისო თანამეგობრობა და არა – ქართველი ამომრჩეველი.

სხვა მხრივ, უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფთან კომუნიკაციის პრობლემა არა გვაქვს, მათ ელექტრონული ფოსტით რეგულარულად ვუკავშირდებით. მათ შემოგვთავაზეს, მიიღონ ჩვენგან დარღვევებთან დაკავშირებული ფაქტები, რომლებზეც ისინი კონკრეტულ უწყებებს მოსთხოვენ მათზე რეაგირებასა და პასუხს. თანამშრომლობა რეალურად არის და მომავალშიც გვექნება, მაგრამ მინდა, ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას – მთავარია, ეს თანამშრომლობა იქნება თუ არა გრძელვადიანი და რეაგირება არ იყოს მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში. ასევე, მთავარია, საარჩევნო კანონის დამრღვევები სათანადოდ და რეალურად დაისაჯონ. საქართველოს რეალობაში არც ერთი ფაქტი არ ყოფილა იმისა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში კანონის დარღვევისთვის დამრღვევი ადეკვატურად დასჯილიყო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ არჩევნებზე ასეთი პრეცედენტები შეიქმნება.

**კობა ბენდელიანი**

კონფლიქტის ზონა

# აფხაზებს მარტო არასოდეს დავტოვებთ!

**გალის რაიონში არსებულ სოციალურ, პოლიტიკურ თუ კრიმინოგენურ ვითარებაზე ქართულ მასმედიაში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება.**

**საქართველოს „მიშავიზიების“ გადამოცემით გალის რაიონში გაუსაძლისი პირობებია, აფხაზები და რუსები ფეხქვეშ თელავენ ადგილობრივ ქართველთა ადამიანურ უფლებებს, ამცირებენ, ძარცვავენ, აბუჩად იგდებენ...**

**სულ სხვა ვითარება იკვეთება დევნილებთან უშუალო ურთიერთობისას. რიგითი მოქალაქეები იმედს არ კარგავენ, მიაჩნიათ, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია საკუთარ სახლ-კარში დაბრუნება.**

**აფხაზეთიდან დევნილი, გალის რაიონის მკვიდრი ოთარ ბერიშვილი საჯარო მოხელეა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ზუგდიდის წარმომადგენლობაში მუშაობს და ხშირად გადადის გალში, საკუთარ ოჯახში.**

**აი რა გვითხრა მან: ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ აფხაზეთს არ დავკარგავთ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვინმეს განწყობა გამოვუკეთო. შერიგების სურვილი არის თვითონ ხალხში. რაც დრო გადის, ამაში უფრო და უფრო ვრწმუნდები. ურთიერთობა აფხაზებსა და ადგილობრივ ქართველებს შორის ნელ-ნელა ლაგდება. აფხაზეთში არ იკრძალება ქართულად საუბარი, ქართული ტრადიციები, ქართული სწავლა-განათლება.**

იხ. 7 გვ.

სულიერება

# როგორ ებრძოდნენ ადგილობრივი წითელი პროფესორები ბათუმში ეკლესიის გახსნას

## პატრიარქის სიტყვა, ბათუმში, 21 წლის წინათ წარმოთქმული, დღეს პირველად ქვეყნდება

*1989 წლის 15 მაისს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. გაიხსნა ბათუმის საკათედრო ტაძარი. ამასთან დაკავშირებით აჭარას სტუმრობდა მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.*

*ალბათ, მოვა დრო და მეოცე საუკუნის საქართველოს ეროვნული მოძრაობის ობიექტური ისტორიაც დაიწერება. ფაქტები, რომლებიც ახლა მინდა გიამბოთ, იმიტომაც უნდა იცოდეს საზოგადოებამ, რომ იგი მომავლის ისტორიას არ დაეკარგოს.*

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის გაძლიერება და ქართული ეკლესიის აღორძინება მჭიდრო კავშირში მიმდინარეობდა. კომუნისტური საზოგადოების დეგრადაცია და ბოლშევიკური იდეოლოგიის გაკოტრებაც ნათელი იყო. აჭარაში თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე ჩამკვდარი მართლმადიდებლობა ერთბაშად ილვიძებდა.

საბედნიეროდ, იმდროინდელ კომუნისტურ და საბჭოთა სტრუქტურებშიც ბევრი ისეთი მამულიშვილი მუშაობდა, რომლებიც ყველაფერზე მაღლა ერისა და ქრისტიანული რელიგიის სიყვარულს აყენებდნენ. სწორედ ამ ხალხისა და პატრიარქის ძალისხმევით დაიწყო 1987 წელს საკათედრო ტაძრის შენობის რესტავრაცია. იგი მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველი კათოლიკე ბიზნესმენების ძმები ზუბალაშვილების ინიციატივითა და შემოწირულობით აშენდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეკლესია არაერთხელ იავარქმნეს. განადგურდა იქ არსებული საეკლესიო სიმდიდრეები. არაფერი შემორჩა არაჩვეულებრივი ორღანისგან, რომელიც თავის დროზე სპეციალურად ამ ეკლესიისათვის დაამზადებინეს გერმანიაში. შენობაში ჯერ არქივი იყო, შემდეგ კი მაღალი ძაბვის ლაბორატორია გახსნეს. უზარმაზარი ტრანსფორმატორები კარებიდან რომ არ შევიდა, შენობის სამხრეთის კედელი გამოანგრიეს და ისე შეიტანეს შიგ. ტაძარი დანგრევის პირას იყო მისული, მისი რესტავრაცია რომ გადაწყდა. ამ საქმეში აჭარის მაშინდელი ხელისუფლების — კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის გურამ ემირიძის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გურამ ჩიგოგიძის დიდი წვლილი იყო.

ეს ის დროა, როცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაუცხრომლად იბრძვის ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრებისკენ შემოსაბრუნებლად. იწყება ეკლესია-მონასტრების აღდგენა. ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი ყველა გზას ეძებს აჭარაში არსებული ეკლესიების აღსადგენად. უპირველესად ბათუმის საკათედრო ტაძარი უნდა დაებრუნებინა მრევლს. ამ დროს აჭარის ხელისუფლება ღებულობს უპრეცედენტო გადაწყვეტილებას ეკლესიის შენობიდან მაღალი ძაბვის ლაბორატორიის გამოსახლების და იქ სარესტავრაციო სამუშაოების დაწყების თაობაზე. შეიქმნა სამშენებლო შტაბი, სამუშაოების ხელმძღვანელობა დაევალა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ზაურ ფატლაძეს.

ოფიციალური ვერსიით აღდგენის შემდეგ შენობაში კულტურის ცენტრი უნდა გახსნილიყო. ძალიან ცოტამ თუ იცოდა, რომ ეს შირმა იყო, სინამდვილეში საბჭოთა ბიუჯეტის ფულით რესტავრირებული ტაძარი მომავალში ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას უნდა გადასცემოდა. ეს მეც ვიცოდი, რადგან იმ დროს აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე ვიყავი და ფაქტობრივად მთავრობაში შემოსული და გასული ყველა დოკუმენტი ჩემს ხელთ ხვდებოდა. თავმჯდომარის სამსახურებრივი ფოსტის დამუშავება და მისთვის მისი მოხსენებაც ჩემს ფუნქციებში შედიოდა.

**სხვათა შორის, იმ დროს აჭარის მინისტრთა საბჭოში მომუშავე ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ჯგუფი აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში. ამ ჯგუფიდან ზოგს აჭარის წინა ხელისუფლებამ გაუსწორა ანგარიში, ზოგიც ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ვარდოსნებმა გაყარეს სამსახურიდან და მათი ადგილები გაურკვეველი წარმოშობისა და განათლების პირებმა დაიკავეს. ასე რომ, ანგარიშსწორება შედგა. სამაგიეროდ ისინი, ვინც ხმალამოწვდილი იბრძოდა ეროვნული მოძრაობისა და ბათუმის საკათედრო ტაძრის საპატრიარქოსთვის გადაცემის წინააღმდეგ, ახლა ბაირამობს.**

ჩემს ჟურნალისტურ არქივში ინახება ორი საბუთი. ერთია ბათუმის უნივერსიტეტის ლექტორების ხელმოწერილი კოლექტიური წერილი, რომელიც 1988 წლის 13 ივლისს გაგზავნილია საქართველოს ცეკას პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის, საქართველოსა და აჭარის მინისტრთა საბჭოების, უმაღლესი საბჭოსა და პარტიის საოლქო კომიტეტის სახელზე. ამ წერილს 9 კაცი აწერს ხელს. ბატონი მეცნიერები თხოვენ ხელისუფლებას, არ გადაეცეს შენობა ქართულ ეკლესიას და არ აღდგეს წირვა-ლოცვა, რადგან ეს დიდი ზიანს მიაყენებს ახალგაზრდობის იდეური აღზრდის საქმესო. „**ყოფილი კათოლიკური ეკლესიის შენობა უნდა იქცეს ახალგაზრდობისა და მთელი მოსახლეობის ესთეტიკური და იდეური აღზრდის მძლავრ თანამედროვე კერადო**“, წერდნენ ისინი. ბოლოს წითელი პროფესურისთვის დამახასიათებელი თხოვნაა, „**დაბეჯითებით გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული საკითხი და არ დაუშვათ კათოლიკური ეკლესიის შენობაში მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნა**“. ამ უსტარს ბატონი პროფესორების და მეცნიერებათა კანდიდატების ტიტულები და ხელწერები ერთვის. ზოგი მათგანი უკვე იმ ქვეყანასაა წასული. ზოგი კი დღესაც წარმატებით აგრძელებს ახალგაზრდობის „აღზრდას“ ბათუმის უნივერსიტეტში. თითქმის ყველა მათგანი ჯერ ასლან აბაშიძის კარზე აღზევდა, ახლა კი ლევან ვარშალომიძისა და მიხეილ მახარაძის კეთილგანწყობით სარგებლობენ და ხელისუფლებაზეც კარგა გვარიანი გავლენა აქვთ მათ და მათს შთამომავლობას. ამ ბატონების ვინაობას, არც გარდაცვლილებისა და არც ცოცხლებისას, შეგნებულად არ ვამხელთ. რაც არ უნდა იყოს, მათ უკან შვილები, ოჯახები, სამეზობლო და სამეგობროა. ისე კი, თუ სურვილი ექნებათ, 22 წლის წინათ დაწერილი უსტარის ასლებს სიამოვნებით გადავცემ. როცა ეს წერილი აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს გურამ ჩიგოგიძეს გავაცანი, მან რეზოლუციაც კი არ დაადო, უბრალოდ დააწერა: „ამხანაგ ნ. ა. გუგუნავას 13.06.1988 წელი“ (მაშინ ნანი გუგუნავა გურამ ჩიგოგიძის მოადგილე იყო).

**მადლობა ღმერთს, რომ ეკლესიის მოწინააღმდეგეთა ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. პროფესორების ამ წერილისათვის მსვლელობა არც ქალბატონ ნანის მიუცია.**

მეორე წერილი, რომელიც არქივში საგულდაგულოდ მაქვს შენახული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ხელით ჩასწორებული მისი წარმოთქმული სიტყვის ის ვარიანტია, რომლითაც 1989 წლის 15 მაისს აჭარის მინისტრთა საბჭოში გამართულ შეხვედრაზე გამოვიდა შეკრებილთა წინაშე. ამ დღეს აჭარის მთავრობამ საპატრიარქოს ოფიციალურად გადასცა ბათუმის საკათედრო ტაძრის აწ უკვე აღდგენილი შენობა. ეს იმ დროის დიდად გაბედული ნაბიჯი იყო ხელისუფლების მხრიდან. ამას შეიძლებოდა მოსკოვთან დაპირისპირება გამოეწვია. ეს თბილისშიც კარგად ესმოდათ, მაგრამ მაინც წავიდნენ ამაზე.

1989 წლის 15 მაისს დილით გურამ ჩიგოგიძემ თავის კაბინეტში გამომიძახა და პატრირქის ხელნაწერი გადმომცა, — გადაბეჭდე და სასტუმრო „ინტურისტში“ მის უწმინდესობას მიართვიო. რადგან დავალებას უშუალოდ თვითონ მაძლევდა, გასაგები იყო, რომ ტექსტი ჩემს სამუშაო ოთახში უნდა დაბეჭდილიყო. ასეც მოვიქეცი. დაბეჭდილი ტექსტი კი მის უწმინდესობას მივუტანე სასტუმროს ნომერში.

არასდროს დამავიწყდება ეს შეხვედრა. დაახლოებით ერთი საათი დავყავი მასთან და დღემდე ამაღლებული და სულიერად გამდიდრებული ვარ იმ საუბრით. მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი მელნის ავტოკალმით ჩაასწორა მისმა უწმინდესობამ. მე იგი ხელახლა დასაბეჭდად წავიღე, შემდეგ კი ჩემს არქივში შევინახე.

ნაშუადღევს მინისტრთა საბჭოში ეკლესიის შენობის საპატრიარქოსათვის გადაცემის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა. მაშინ წარმოთქვა მისმა უწმინდესობამ ის სიტყვა, რომელიც დღემდე არ გამოქვეყნებულა. აი ეს ტექსტიც:

**„ასე ხდება ცხოვრებაში. სიხარულიც და განსაცდელიც ძალიან ხშირად არიან ახლოს ერთმანეთთან. თქვენ იცით, თუ რა მოხდა. საქართველო განიცდის მწუხარე დღეებს. თბილისში მომხდარი ტრაგედიის გამო, აჭარაში სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა გამო შავებში დადიოდა მთელი საქართველო, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია, მუდმივად ვიგლოვოთ. ჩვენ აუცილებლად უნდა ვუყუროთ მომავალს, ვიფიქროთ ჩვენს მომავალზე.**

**დღეს ჩვენთვის, ქართული ეკლესიისათვის და, მე ვიტყოდი, სრულიად საქართველოსთვის არის ბედნიერი დღე. ბათუმში იხსნება ღვთისმშობლის ტაძარი. როცა რამეს ამბობენ ეკლესიაზე, ძალიან ხშირად ლაპარაკობენ მის წარსულზე, მის დამსახურებაზე წარსულში. ეს სწორიცაა. ბევრი რამ გააკეთა ქართულმა ეკლესიამ ჩვენი ერის სულიერი, ფიზიკური თუ მატერიალური აღორძინებისთვის და ის კულტურა, რომლითაც ამაყობს ქართველი ერი, დაფუძნებულია ქრისტიანულ ნიადაგზე. აქ მე მინდა აღვნიშნო განსაკუთრებული როლი ამ კუთხის, აჭარისა. თქვენ იცით, რომ პირველ საუკუნეში, პირველად აქ დაიწყო სახარების ქადაგება, სწორედ აქ მოვიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. ასე რომ, ეს ადგილი არის წმიდათაწმიდა ადგილი. თქვენ ასევე გახსოვთ, ბიბლიაში არის ადგილი, როცა მოსე წინასწარმეტყველი მივიდა სინას მთაზე მაყვლის ბუჩქთან, რომელიც იწვოდა. მას მოესმა ხმა: გაიხადე ფეხსაცმელი, რადგან ადგილი, სადაც შენ დგახარ, წმინდაა. ასეთივე წმინდა ადგილი საქართველოში არის აჭარა, ამიტომ ამას განსაკუთრებული როლი აქვს ჩვენს ისტორიაში.**



**მეოთხე საუკუნე, თქვენ იცით, ასევე განსაკუთრებულია. ქრისტიანობა გახდა სახელმწიფოებრივი რელიგია და სახელმწიფო დაუკავშირდა ბიზანტიას. ეს არ იყო მხოლოდ რელიგიური აქტი, ეს იყო პოლიტიკური აქტი. მინდა გავიხსენო აგრეთვე მეხუთე საუკუნე, როცა საქართველოს ეკლესია გახდა დამოუკიდებელი, ავტოკეფალური. სწორედ მეხუთე საუკუნიდან აღორძინდა განსაკუთრებით ჩვენი კულტურა. მინდა, კიდევ ერთხელ შევნიშნო, რომ თქვენ ხშირად ლაპარაკობთ ეკლესიის შესახებ წარსულ დროში, მაგრამ ჩვენ უნდა დავინახოთ ხვალინდელი დღე, მომავალი ჩვენი. თქვენ ყველამ იცით, რომ დღეს ჩვენმა ქვეყანამ, ისე როგორც მთელმა მსოფლიომ, გადადგა უზარმაზარი ნაბიჯები მეცნიერებაში, ტექნიკაში, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ დავკარგეთ უდიდესი რამ, დავკარგეთ ღმერთი, დაიკარგა სიყვარული, დაირღვა ოჯახი, დაირღვა ურთიერთობა ადამიანებს შორის და დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არასდროს არ იყო საჭირო ეკლესია იმდენად, როგორც ეს საჭიროა დღეს. დღეს თუ ვამბობთ, რომ კაცობრიობის წინაშე შეიქმნა საშიშროება, რომელიც მოსპობით ემუქრება არა მარტო ადამიანს, არამედ საერთოდ სიცოცხლეს, ეს გამოწვეულია იმით, რომ განვითარება მოხდა ცალმხრივად. მოხდა მეცნიერული, ტექნიკური, ინტელექტუალური განვითარება, მაგრამ სულიერი განვითარება ჩამორჩა. აი ამიტომ განსაკუთრებული როლი აკისრია დღეს ეკლესიას, ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს და აკეთებს კიდეც. მე ხშირად მეკითხებიან უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები, თუ როგორ შეეხო გარდაქმნა ქართულ ეკლესიას და შეეხო თუ არა? რა თქმა უნდა, შეეხო.**

**უპირველეს ყოვლისა, თვითონ გარდაქმნის პროცესი არის წმინდა რელიგიური პროცესი. ჩვენ თუ არ ვიფიქრეთ შინაგან და სულიერ გარდაქმნაზე, არაფერი არ გამოგვივა. ყოველი ჩვენი მოქმედება და ყოველი ჩვენი საქმე არის ჩვენი ავტოპორტრეტი. შინაგანად თუ არ განათლდა ადამიანის ბუნება, ადამიანის სული, კეთილ ნაყოფს ვერ მივიღებთ. ამიტომ ეკლესიის მთავარი მიზანი არის ის, რომ დააყენოს ადამიანი სრულყოფის კიბეზე. ადამიანს არ შეუძლია, იდგეს ერთ ადგილზე. ის უნდა მიდიოდეს ან წინ, ან — უკან. თქვენ გახსოვთ, სახარებაში არის სიტყვა მაცხოვრის იესო ქრისტესი: „იყავთ სრულყოფილნი, ვითარცა მამა ჩვენი ზეციერი სრულყოფილ არს.“ რა თქმა უნდა, ადამიანი ვერასდროს ვერ მიაღწევს იმ სრულყოფას, რაც გააჩნია მამაზეციერს, მაგრამ ეს არის მითითება დაუსრულებელ სრულყოფაზე. ადამიანი უნდა დაადგეს ამ სრულყოფას, ადამიანი უნდა ავიდეს სრულყოფის კიბეზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ჩვენ მივიღოთ სათანადო შედეგი. მე მინდა მოგახსენოთ, რომ ის პრობლემები, რომლებიც დგას დღეს კაცობრიობის წინაშე, ერის წინაშე, იგივე პრობლემები დგას ეკლესიის წინაშე. და თუ ჩვენი მთავრობა ძირითადად ფიქრობს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ სრულყოფაზე, ეკლესია, ამასთან ერთად, ამაზე ფიქრობს, რა თქმა უნდა, მაგრამ, ამასთან ერთად, ფიქრობს სულიერ სრულყოფაზე, ჩვენი მორწმუნე ერის სულიერ აღზრდაზე. ჩვენ ეს ერთ საქმედ გვაწევს, ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ მუდამ ერთად და ვართ კიდეც.**

იხ. 8 გვ.

**მაინც როგორ და რითი უკავშირდება ერთმანეთს გრიგოლ როზაქიძის უცნობი ლექსი, საქველმოქმედო ფონდი „ქართუ" და ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე შორეული ქვეყანა არგენტინა?**

1997 წელს არგენტინიდან გრიგოლ როზაქიძის უცნობი ნოველა ჩამოვიტანე და გამოვეცი კიდეც. 1948 წელს ჟენევაში დაწერილი ის ეროტიკული ნოველა – „ყაფლან ქვემოკლიძის მინაწერი კვატატი პიტნავასადმი" – გრიგოლ როზაქიძეს 1950 წელს გაუგზავნია ბუენოს-აირესში თავისი მეგობარ აკაკი პაპავასათვის. იდო და იდო ეს „ყაფლანის მინაწერი" თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე თამარ და აკაკი პაპავების სახლის სხვენში, სანამ მათმა ქალიშვილებმა – ტურფამ და მზიამ საქართველოში არ გამომატანეს სხვა უამრავ უიშვიათეს ხელნაწერთან ერთად.

თამარ და აკაკი პაპავების არქივი და ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უმდიდრესი ქართული სიძველეთსაცავია უცხოეთში. მე საქართველოში ამ საგანძურის მხოლოდ მცირე ნაწილის ჩამოტანა შევძელი, რაც დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, თამარ და აკაკი პაპავების სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილ კაბინეტში.

ერთი წლის წინათ საქართველოში სტუმრად იყვნენ თამარ და აკაკი პაპავების შვილიშვილები – გულნარა, სალომე, ტურფა (პუსი) და მზია პაპავა-ჭეიშვილები, რომლებმაც დაადასტურეს თავიანთი მშობლების სურვილი – თამარ და აკაკი პაპავების მთელი არქივი და ბიბლიოთეკა, მემორიალურ ნივთებთან ერთად საქართველოს გადმოეცეს და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაიდოს ბინა.

# როზაქიძის უცნობი ლექსი
# მადლობა „ქართუს" და
# შორეული არგენტინის შორეული პერსპექტივა

ქართულ მხარეს მხოლოდ შორეულ არგენტინაში წასვლა, არქივისა და ბიბლიოთეკის პირველადი აღწერა და მათი თბილისში ჩამოტანაღა დარჩა.

სწორედ ამის დაფინანსება სთხოვა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ საშური ეროვნული პროექტების დაფინანსებით სახელგანთქმულ ფონდ „ქართუს" მას შემდეგ, რაც სხვა არაერთი მხრიდან შემწეობის იმედი საბოლოოდ გადაეწურა.

* * *

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში დასასრულს მიაუხლოვდა მრავალწლიანი შრომა, რომელიც გრიგოლ როზაქიძის თხზულებების სრული კრებულის გამოცემას ისახავდა მიზნად. ეს საქმე მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების გამგემ ლალი ცომაიამ იტვირთა, ღირსეულადაც გაასრულა და წელს მკითხველი როზაქიძის ოთხ ვეებერთელა ტომს მიიღებს, რომელშიც დღემდე ცნობილი მისი ყველა ნაწარმოები თუ კერძო წერილი იქნება შეტანილი.

როგორც პროექტის კონსულტანტს, მე ამ ოთხტომეულისათვის წინასიტყვაობის დაწერა მთხოვეს. ყველა საქმე გვერდზე გადავდე და კიდევ ერთხელ გადავხედე ჩემთვის უკვე კარგად ცნობილ თუ ჯერ უცნობ მასალას როზაქიძის ცხოვრება-შემოქმედების შესახებ. არ მინდოდა, რამე გამომრჩენოდა და მასალის ძიებაში იოსებ გრიშაშვილის უნიკალურ ბიბლიოთეკა-მუზეუმსაც მივაკითხე. ვიცოდი, რომ მის ფონდში იყო დაცული გრიშაშვილისა და როზაქიძის მიმოწერა, რომელიც ჯერ კიდევ 1989 წელს გამოაქვეყნა ბიბლიოთეკა-მუზეუმის ხელმძღვანელმა, გრიშაშვილის დის შვილიშვილმა ნოდარ გრიგორაშვილმა.

ბატონ ნოდართან მრავალწლიანი მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა მაკავშირებს, იმდენად, რომ როცა მან შარშან გრიშაშვილის 100 ლექსი შეარჩია გამომცემლობა „ინტელექტის" ცნობილი პროექტისათვის, წინასიტყვაობის დაწერა სწორედ მე მთხოვა. ამ წიგნის პრეზენტაცია ამ ერთი წლის წინათ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში გაიმართა, ხარფუხში. ახალი წიგნის ღირსებებთან ერთად იმ დღეს ბევრი საუბარი იყო იმის შესახებაც, თუ რა მძიმე მდგომარეობაშია ამჟამად ქართული კულტურის ეს მნიშვნელოვანი კერა, რომელსაც, სამწუხაროდ, სახელმწიფო ჯეროვან ყურადღებას ვეღარ აქცევს. ეს საუბარი აირეკლა პრეზენტაციის სპარტაკ ქობულიასეულ საგაზეთო ანგარიშშიც, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა. ამ პუბლიკაციის კვალდაკვალ კი გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის მდგომარეობით „ქართუ" ფონდი დაინტერესდა და მისი წარმომადგენლები მალევე ავიდნენ ხარფუხში. ფონდის მესვეურებს დიდხანს არ უფიქრიათ: დარწმუნდნენ რა მუზეუმის სავალალო მდგომარეობასა და აქ დაცული საგანძურის მნიშვნელობაში, მათ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის სრული რეაბილიტაცია და განახლება იდეს თავს.

როგორც გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის გულშემატკივარს, ამ ამბავმა უზომო სიხარული მომგვარა. „ქართუს" ყოველგვარი რეკლამისა თუ პიარის გარეშე ქართული ეროვნული კულტურის არაერთი კერა გაუმშვენიერებია და დიდი მადლობა მას, რომ მის მიერ აღორძინებულ სასახელო საქმეთა უკვე საკმაოდ გრძელ ნუსხას მალე გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის განახლებაც შეემატება.

სწორედ „ქართუს" ქველმოქმედებაზე და მის თაოსნობაზე საუბრით შემეგება ნოდარ გრიგორაშვილი, როცა როზაქიძესთან დაკავშირებული მასალების გასაცნობად ვესტუმრე. მან ჩვეული გულისხმიერებით მომიძებნა ყველაფერი, რაც ამ სიძველეთსაცავში როზაქიძეს უკავშირდება. აქ, რა თქმა უნდა, იყო ის წერილები, რომლებიც თავად ბატონმა ნოდარმა გამოაქვეყნა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში", აქ იყო როზაქიძის არაერთი წიგნი, გრიშაშვილის მინაწერებით აჭრელებული, და აქ იყო აგრეთვე გრიშაშვილის მიერ ცალკე რვეულში აკურატულად ჩაწებებული მისი მთელი პოლემიკა გრიგოლ როზაქიძესთან თარგმანისა და ქართული ენის საკითხებზე, რომელმაც 1920 წელს მთელი მაშინდელი ქართული ლიტერატურული საზოგადოება აალაპარაკა.

ამ ყველაფრის გარდა ბატონი ნოდარის მიერ მოწოდებულ მასალებში აღმოჩნდა ერთი ოთხად გაკეცილი ფურცელიც, რომელზეც ჩემთვის კარგად ნაცნობი კალიგრაფიით ოთხსტროფიანი ლექსი ეწერა. კალიგრაფია კი იყო ნაცნობი – იგი როზაქიძეს ეკუთვნოდა, მაგრამ თავად ლექსი არ მეცნო. როზაქიძის სულ 58 ლექსია დღეისთვის ცნობილი და ყველა მათგანი შესულია ლალი ცომაიას მიერ მომზადებულ იმ ოთხტომეულში, რომლისთვის წინასიტყვაობას ვწერ. მაგრამ ეს ლექსი იქ არ არის. ოთხტომეულში შეტანილი 58 ლექსიდან ორი რუსულია, ხუთი გერმანული, დანარჩენი 51 კი – ქართული. როზაქიძე ერთადერთი ქართველი მწერალია, რომელიც სამ ენაზე წერდა.



ბატონ ნოდარს ვაჩვენე ის ფურცელი და, ვფიქრობ, ეს ლექსი გამოქვეყნებული არ უნდა იყოს-მეთქი, ვუთხარი. მართალი ხარ, უცნობი ლექსია, იმ წერილებთან ვერ გავაერთიანე, ცალკე მინდოდა გამომექვეყნებინა, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე, ახლაც, სანამ აქაურობას არ ეშველება, ამისთვის ვერ მოვიცლი და წაიღე, გამოაქვეყნე, იმ ოთხტომეულშიც შეიტანეთო.

ნოდარ გრიგორაშვილის ნებართვით დღეს პირველად ვაქვეყნებ გრიგოლ როზაქიძის უცნობ ლექსს, რომელიც მთელი 90 წელიწადი ელოდა დღის სინათლეს.

ასე რომ, დღევანდელი პუბლიკაციის შემდეგ როზაქიძის ჩვენთვის ცნობილი ქართული ლექსების რიცხვი 52-მდე გაიზრდება.

ლექსი ფანქრით არის ნაწერი. თავდაპირველ სათაურად ავტორს „საზარი მხეცი" შეურჩევია, მაგრამ მერე გადაუშლია და „ო, მახსოვს, მახსოვს" დაურქმევია. „საზარ მხეცს" ქვესათაურიც ჰქონია – „მარკიზ დე-სადის სიტყვა", მაგრამ ავტორს ისიც გადაუშლია. რამდენიმე სწორება როზაქიძეს ტექსტშიც შეუტანია. როგორც ჩანს, ეს ლექსი, რომელიც ავტორს გრიშაშვილისთვის რომელიმე ფოსტით გაუგზავნია ან შეხვედრისას პირადად გადაუცია, მას თავისთვის აღარ გადაუწერია და არც გამოუქვეყნებია. ფურცელზე გრიშაშვილის ხელით „ლეილა" აწერია. ამ მინაწერით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი გრიშაშვილს თავის ჟურნალ „ლეილაში" დასაბეჭდად ჰქონდა გამიზნული, მაგრამ რატომღაც არ დაუბეჭდავს.

ეს ლექსი, არგენტინაში აღმოჩენილი ნოველისა არ იყოს, ეროტიკული შინაარსისაა, და იმის გათვალისწინებით, რომ „ლეილას" პირველი ნომერი 1917 წელს გამოვიდა, 1916 წელს უნდა იყოს დაწერილი. 1912-1916 წლებში როზაქიძესა და გრიშაშვილს ინტენსიური ურთიერთობა, თანამშრომლობა და მიმოწერა ჰქონდათ ერთმანეთში, როცა უკვე ცნობილი გრიგოლ როზაქიძე და მასზე ცხრა წლით უმცროსი, მაგრამ არანაკლებ ცნობილი გრიშაშვილი ერთობლივ სალიტერატუროებს მართავდნენ საქართველოს ქალაქებში. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული როზაქიძის 19 წერილიც.

ამ წერილთაგან ამჯერად ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა 1916 წლის მაისში გამოგზავნილი წერილი, რომლის კონვერტზე გრიშაშვილს ასეთი რამ წაუწერია: „როზაქიძე და ეჭვიანობა".

წერილში გრიგოლ როზაქიძე წერს:

**„ძმაო, სოსო! ისეთი რამ უნდა გითხრა, რომ ამ სათქმელის საიდუმლო სამარემდის გაგვყვეს ორივეს... ვიტყვი მოკლედ. ამ ბოლო ხანს მე გატყობ (გეფიცები – მე იჭვიანობა არ შემიძლია), რომ შენში რაღაც გატაცების მსგავსი იბადება ს-დმი... ეს ადვილი ასახსნელია: ს-ნა „იმას" გავს, – და ხშირად ხდება ხოლმე მსგავსებით ტრფიალის გადატანა... მაგრამ ამასთანავე გატყობ სხვა რამესაც: შენ ჩემი მეგობრობა გწამს, იცი ოდნავად ჩემი გრძნობა ს-დმი, – და არა გსურს, რომ შენი გრძნობა – წყაროს თვალი – წყაროდ აიმართოს... შესაძლოა ვსცდებოდე, – მაგრამ ჩემი ინსტინქტი მეტად გამახვილებულია და ძალიან საძნელოა მისი შეცდომა. მე არაოდეს არ განმიცდია „იჭვიანობა", და მერწმუნე, არც ახლა განვიცდი. ამისათვის დიდის ნელობით და დამშვიდებით მინდა „უკანასკნელი" სიტყვა გითხრა. თუ ასეა – რასაც მე გწერ – შეიყვარე უთუოდ იგი, შეიყვარე ცეცხლოვანი ტრფიალით. ვგრძნობ, რომ ისიც მოგცემს გამოხმაურებას, – და ვინ იცის, შესაძლოა, შენი ახლანდელი შანთივით ავარვარებული ტანჯვა სალხინო მზეობად იქცეს.**

**მე ნუ დამერიდები... მე რკინის სული მაქვს და ყველაფრის გადატანა შემიძლია. ან რას მიქვია ხათრი და რიდი იქ, საცა ადამიანთა შორის სიყვარულის ცეცხლი უნდა აკოცონდეს?! მე არასოდეს არ მქონია ხათრი და რიდი ამ შემთხვევაში და ნურც შენ გექნება... გულწრფელი კი ყოველთვის ვიყავ და ახლაც გულწრფელად გეუბნები ამ საშინელ სიმართლეს. არ იფიქრო, – ვითომ ამ გარემოებამ ჩვენი მეგობრობის ნაზს ქსელში რაღაც „სხვა" საზარი ძაფი ჩაურთოს: – არა, არა!!**

**მე ყოველთვის ალისფერი მოსასხამი მესხა, და რაც უნდა მწუხარება შემხვდეს, ჩემს სახეზე მზის ნაკადულების მეტს ვერავინ ვერაფერს ვერ ამოიკითხავს.**

**მაშ, ასე: გაბედულად, შეურყევლად... საიდუმლო – საფლავამდე.**

**შენი გოგი".**

გოგი. გოგი როზაქიძე.

წერილი ერთ-ერთია იმ ორადორ დოკუმენტში, რომლებშიც გრიგოლ როზაქიძე თავის თავს ამ სახელით იხსენიებს. ალბათ საიდუმლოს მეტად დაცვის მიზნით.

საიდუმლო კი იმაში მდგომარეობდა, რომ ორი პოეტი, ორი მეგობარი ერთ ქალს ეტრფოდა. კი ამბობს გრიგოლ-გოგი როზაქიძე, არ ვეჭვიანობო, მაგრამ ისე დაბეჯითებით ამბობს და ისეთი გულმოდგინებით იმეორებს, რომ აშკარაა, ძალიანაც ეჭვიანობს. ტყუილად კი არ წააწერა გრიშაშვილმა ამ წერილის კონვერტს ასეთი სიტყვები: „როზაქიძე და ეჭვიანობა". იქვე გრიშაშვილს მიუწერია: *„მე ვეტრფოდი ს-ს. გათხოვების შემდეგ სხვა ს-ს, რომელიც პირველს ძალიან ჰგავდა. ეს ქალი თურმე გრიგოლს მოსწონდა".* წერილის უკანა მხარეს კი გრიშაშვილის ასეთი სიტყვები წერია: *„ს. კ-კ. მომწონდა, რადგან ს. ჩ.-ს ჰგავდა"* (სახელები და გვარები ჩემს მიერ არის შემოკლებული – **პ. ნ.**). სხვათა შორის, ამ წერილის პირველი პუბლიკაციისას, გრიშაშვილის ეს მინაწერები რედაქციას საერთოდ ამოუღია.

ხოლო მე ეს წერილი თავისი მინაწერებიანად აქ იმად მოვიხმე, რომ არ არის გამორიცხული, იგი ამ ახალგამოვლენილ ლექსთან იყოს დაკავშირებული. თუმცა ამის მტკიცების არანაირი საფუძველი არ არსებობს, გარდა იმისა, რომ ეს ლექსი გრიშაშვილს როზაქიძის იმ წერილებთან ერთად ჰქონდა შენახული, რომელთაგან მხოლოდ ეს ერთი ეხება ქალსა თუ სიყვარულს და რომ იგი გრიშაშვილს თავის „ლეილაში" არ დაუბეჭდავს.

არ არის გამორიცხული, რომ ეს ლექსი გრიშაშვილს „ლეილას" მეორე ნომრისთვის ჰქონდა შეგულებული, რომელიც 1920 წელს გამოვიდა, მაგრამ რაღაც მიზეზით, თუნდაც როზაქიძესთან ატეხილი პოლემიკის გამო, მისი დაბეჭდვა გადაიფიქრა. ასეთ შემთხვევაში ლექსი 1919 წელს უნდა იყოს დაწერილი.



ასე რომ როზაქიძის ეს „ახალი" ლექსი სავარაუდოდ 1916-1919 წლებით უნდა დათარიღდეს. მარტივი კალიგრაფიული ანალიზი ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას თავისუფლად იძლევა.

მკითხაობას ვერ დავიწყებ. ლექსის ზუსტი თარიღისა და ადრესატის დადგენა, მომავლის საქმეა. ან იქნებ არც არსებობს არავითარი ადრესატი და როზაქიძემ ეს ლექსი მარკიზ დე სადის რომელიმე ოპუსის წაკითხვის შემდეგ, მისი შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა დაწერა, რაზეც გადაშლილი ქვესათაური შეიძლება მეტყველებდეს.

ბატონმა ნოდარ გრიგორაშვილმა გამოთქვა ეჭვი, რომ იქნებ საქმე თარგმანთან გვქონდესო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ლექსი ორიგინალურია. თარგმანი რომ ყოფილიყო, როზაქიძე ალბათ ასე ხელაღებით არ მოაწერდა საკუთარ გვარს და, რაც მთავარია, სათაურსა თუ ქვესათაურს არ გადაშლიდა და ლექსს ახალ სათაურს არ დააწერდა.

დაბოლოს, თავად ეს ლექსიც – გრიგოლ როზაქიძის დღემდე გამოვლენილი 52-ე ქართული ლექსი:

### ო, მახსოვს! მახსოვს!

**ოჰ, მახსოვს, მახსოვს, ცეცხლად მახსოვს**
**მე შენი ტანი:**
**ავსილი ვნებით, ალესილი, ჟინ-ატეხილი, –**
**როს ცეცხლეულმა ნდომა გიჟი ვერ ავიტანე**
**და მოგეხვიე, რომ მეგემა საცდური ხილი..**
**ვით ცხელ ქვიშაზე სველი თევზი, შენი სხეული**
**ჩემ მძლე მკლავებში თრთოდა სუნთქვით**
**და ფართქალობდა:**
**ყოველი ნაკვთი შენი ტანის, ვნებით რხეული,**
**ჩვენს მზის ნადიმზე გიჟდებოდა მით,**
**რო ქალობდა..**
**მაგარი სუნთქვით იშლებოდი და**
**თან თვრებოდი,**
**სასტიკი ნდომით იწვებოდა ვნების ნაჟური;**
**მე შენი ყელით სისხლსა ვწოვდი,**
**შენ კი კვდებოდი, –**
**ჩემში მზეობდა უხვი ძალა, ძალა ვაჟური..**
**აღარ სუნთქავდი მილეული და ჩანაკეცი,**
**შეშლილი მზერით დადუმებულს**
**თავს დაგყურებდი:**
**ჟინით ვლხინობდი მე სასტიკი, საზარი მხეცი,**
**სისხლის ყივილით მშრალ უდაბნოს ვახმაურებდი..**

* * *

თამარ და აკაკი პაპავებისადმი მიწერილ პირად წერილებს თუ არ ჩავთვლით, როზაქიძის ეს ლექსი ჩემს მიერ გამოქვეყნებული მისი მეორე უცნობი ნაწარმოებია. რატომღაც მგონია, რომ სულ მცირე, უნდა გასამდეს. იმედი მაქვს, რომ როზაქიძის ერთი უცნობი ნაწარმოები მაინც კიდევ აღმოჩნდება თამარ და აკაკი პაპავების არგენტინულ არქივში. შეიძლება ასე, როგორც გრიშაშვილთან, წერილებში იყოს შერეული, ან იქნებ სადმე რომელიმე წიგნში დევს, ან იქნებ სულაც თამარ პაპავას აქვს ჩაწერილი თავის გამოუქვეყნებულ მემუარებში...

მაგრამ ჯერჯერობით არგენტინიდან არქივების ჩამოტანა ვერ ხერხდება.

ხელნაწერთა ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ თავის პროექტზე „ქართუდან" ამ ორიოდე კვირის წინათ თავაზიანი უარი მიიღო.

(სხვათა შორის, ამ ათი წლის წინათ მეც შევიტანე ასეთივე პროექტი „ქართუში" არგენტინიდან არქივისა და ბიბლიოთეკის ჩამოტანის დაფინანსების თხოვნით, მაგრამ უარი მივიღე.)

„ქართუს" უარით ისედაც შორეული არგენტინა ჩვენთვის კიდევ უფრო შორეული გახდა. არგენტინული არქივის საქართველოში ჩამოტანის პერსპექტივაც კვლავ შორეულია და ბუნდოვანი.

არადა, თამარ და აკაკი პაპავების ბიბლიოთეკაში თავმოყრილია არაერთი ისეთი წიგნი და პერიოდული გამოცემა საქართველოსა თუ კავკასიის შესახებ, რომლებიც საქართველოს წიგნთსაცავებში არ მოიპოვება. დიდად მნიშვნელოვანია მათი საოჯახო არქივიც, რომელიც მოიცავს მდიდარ მასალას 1920 წლიდან, როცა აკაკი პაპავა უცხოეთს გაემგზავრა, 1978 წლამდე, როცა გარდაიცვალა თამარ პაპავა. აქ არის მრავალი ხელნაწერი, პირადი ბარათი, ფოტო თუ მემორიალური ნივთი, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ სახელებთან, როგორიცაა ექვთიმე თაყაიშვილი, გრიგოლ როზაქიძე, ვიქტორ ნოზაძე, მიხაკო წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, არჩილ ჯორჯაძე, ნოე ჟორდანია, კიტა ჩხენკელი, სამსონ ფირცხალავა, ირაკლი ბატონიშვილი და მრავალი სხვა. პაპავების ოჯახი ათწლეულების განმავლობაში აგროვებდა და სათუთად ინახავდა ყველაფერს, რაც საქართველოსთან იყო დაკავშირებული. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ამ ოჯახმა რეზო თაბუკაშვილის ხელით საქართველოში გამოაგზავნა მათ მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში შეძენილი სიონის ტაძრის საკურთხევლის უნიკალური ნაქარგი გადასაფარებელი, რომელიც დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდშია დაცული. ამის შესახებ რეზო თაბუკაშვილმა დოკუმენტური ფილმიც გადაიღო – „არგენტინიდან საქართველოში"...

არგენტინელი პაპავა-ჭეიშვილები კი მთელი თხუთმეტი წელიწადია ელიან, რომ მათი უძვირფასესი საჩუქარი საქართველომ ჩაიბაროს და უპატრონოს.

ჩვენ ეს ჯერჯერობით ვერ მოგვიხერხებია.

რას იზამ. ერთი „ქართუ" ყველას და ყველაფერს ვერ გასწვდება. რასაც ვერ აკეთებს, იმაზე საყვედურს არავინ ეტყვის, ხოლო რასაც აკეთებს ან გააკეთებს, იმაზე კი გულწრფელი მადლობა ეკუთვნის თითოეული ქართველისგან – დღესაც და მომავალშიც.

**პაატა ნაცვლიშვილი**

◉ გულის ძახილი

# ვემშვიდობები ხვალ დილით მოსაჭრელად გამზადებულ, ჩემთან ერთად შეზრდილ ალვის ხეს

**1940 წელი იყო, როცა პირველად შეგავლე თვალი, მე პატარა გოგო ქვეშიდან შემოგცქეროდი, თუმცა არც შენ იყავი ალბათ დიდი ასაკის, მაგრამ ტანწერწეტა, ქორფა ფოთლებით აქოჩრილი, მონაბერ ნიავზე აცქმუტდებოდი, გამოცოცხლდებოდი და სათამაშოდ გვიწვევდი ძირში მდგომ ეზოს ბავშვებს. გველამუნებოდი, გვეფერებოდი, მაგრამ აბა სად შენა და სად ჩვენ.**

ულამაზესი, ტანაყრილი, მაგრამ სრულიად ახალგაზრდა, რომელსაც ისევე, როგორც ჩვენ, ცხოვრებისა არა გაგვეგებოდა რა. წვიმა იყო თუ მზე, ეზოში მოთამაშე ბავშვებს შეძლებისდაგვარად გაშლილ ტოტებქვეშ შეგვიფარებდი.



თუ რომელიმე ავად გავხდებოდით, მოიწყენდი და ფოთლებს დაუშვებდი ხოლმე, მაგრამ ჩვენ ჟრიამულზე ისევ აფრთხიალდებოდი და ფოთოლთ შრიალს ჩვენს ყიჟინას შეუერთებდი.

ჭექა-ქუხილისა ჩვენსავით გეშინოდა, აიწურებოდი და შენს გვერდზე მდგომ, შენზე უფროს ჭადრის ხეს შეეყუჟებოდი და ისიც ახლო მეზობელს, მის თვალწინ გაზრდილს, შეგიფარებდა, დაგამშვიდებდა და შვილივით მიგიკრავდა გულზე. ალბათ, შენ სხვა დედა არცა გყოლია. რამდენი რამ შეგიჩივლიათ ერთიმეორისათვის, არასოდეს არ შეგიწუხებიათ ერთმანეთი სივიწროვის მიუხედავად. გაშლილ ტოტებს შემოაჭდობდით ერთმანეთს და ასე ხვდებოდით ყოველ განთიადს. შემოდგომის მოსვლა თქვენთვის მეტად მტკივნეული იყო. თქვენთვის მტკივნეული იყო ყოველი მოწყვეტილი ფოთოლი, რომელიც მოწყვეტით ენარცხებოდა მიწას და ხედავდით, როგორ ღაფავდნენ სულს. თქვენ მგლოვიარე დედებს ემსგავსებოდით. ფოთოლს ფოთოლი ემატებოდა და თქვენც შეციებული და გაშიშვლებული ტოტებით, ზამთრის ღრმა ძილს ეძლეოდით გაზაფხულამდე.

გაზაფხულის სურნელს ყველაზე ადრე თქვენ გრძნობდით. ღრმა ძილიდან გამოფხიზლდებოდით, ტოტებს შეიბერტყავდით და ახალი სიცოცხლისთვის ემზადებოდით. ამოიყრიდით ქორფა კვირტებს, რომლებიც სულ მალე ფოთლებად იქცეოდნენ და შენ და ჭადარი ისევ აშრიალდებოდით და ერთი მეორეს თბილი ალერსით, ფოთლების ჩურჩულით, ბუტბუტ-შრიალით უყვებოდით ზამთრის სიზმრებს. ისედაც განა ცოტა გქონდათ სალაპარაკო მონატრულებს.

ყველა ამ ეზოს მობინადრის სიხარული თუ ტკივილი ხომ თქვენც გიხაროდათ და გტკიოდათ.

გახსოვთ, ალბათ, ჩვენი სახლიდან, სულ სიმღერის ხმა ისმოდა. როგორ არხევდი ფოთლებს თითქოს სიმღერას ჰყვებოდი. შექეიფიანებული სტუმრები გვიანობამდე არ იშლებოდნენ და ძილს გიფრთხობდნენ, მაგრამ შენ და შენს ფოთლებში შეყუჟული ჩიტუნები სიმღერას მონუსხულები უსმენდით.

შენ ჩრდილქვეშ ნარდის მოთამაშე და მოქეიფე ეზოს კაცები შენს სადღეგრძელოსაც სვამდნენ, შენც მოკრძალებული თავაზიანობით ტოტებს უხრიდი. რამდენი შეციებული და მშიერი, უსახლკარო ჩიტუნას თავშესაფარი იყავი.

ბავშვობაში ხან სათამაშოებს, ხან სახტუნაო თოკებს, ხანაც ბურთს ამოვაგდებდით შენ ხშირ ტოტებში და შენც ისე მარჯვედ დაიჭერდი ტოტებით და უკან აღარ გვიბრუნებდი. ჩვენ ხან ქვებით, ხან შემოხტომით ვცდილობდით სათამაშოების დაბრუნებას, მაგრამ ჯიუტად არ გვიბრუნებდი, ვიდრე არ გაგინაწყენდებოდით, მერე მოულოდნელად, თავზე დაგვაყრიდი ყველაფერს და ასე ვრიგდებოდით ხოლმე. ასე გადიოდა წლები. ჩვენ ვიზრდებოდით.

როცა წამოიზარდე ჩვენთან ერთად, ჩვენ სახლებში დაიწყე მზერა. თავს გვაწონებდი, ნახეთ, რამხელა გავიზარდეო, აივნიდან ხელს გიწვდიდი და გეუბნებოდი — მარტო შენ კი არ გაიზარდე, აბა შემომხედე, მეც რამხელა გოგო ვარ-მეთქი.

აბა გაიხსენე ომის წლები, თითქოს დარაჯებად გვედექით შენ და ჭადარი. რაც შეგვეძლოთ შლიდით უშველებელ ტოტებს და ცდილობდით, ვერ შევემჩნიეთ ცაში მონავარდე მტრის თვითმფრინავებს.

გახსოვს ტალინა, ოტო, ავრორა, ლამარა, გოდიკო, მურმანი, თამაზი, ფირანი, სურიკა, მზია, ნარგიზა, ჟორიკა, ანჟელა, თამილა და ჩვენს შემდეგ წამოსული ბავშვები ელიკო, იამზე და სხვები.

ახლა უფროსები, ჩვენი მშობლები, ბებია-ბაბუები. აი, რამდენი რამე გვაქვს გასახსენებელი. ამას ჩემო კარგო, ბევრი, ძალიან ბევრი წელი დასჭირდა. შენ იყავი ჩვენი პირველი სიყვარულის, გათხოვება, ცოლის თხოვის, შვილების შეძენის მოწმე და ჩვენ შვილებსაც არ აკლებდი სიყვარულს და სიკეთეს, ისინიც ხომ დაიზარდნენ შენი ჩეროს ქვეშ.

გავიდა წლები და ჩვენთან ერთად შენც გაჭაღარავდი, თუმც სიბერე მაინც არ გეტყობა. დგეხარ, ალბათ, 85-90 წლის ჭარმაგი მოხუცი, რომელსაც შეგწევს ძალა კიდევ ამოიყარო ახალი ყლორტები.

შენზე მითხრეს, დაბერდა ძალიანო, გული თითქმის აღარ უცემსო, ძლიერმა ქარმაც კი, რომელსაც ყოველთვის ადვილად იგერიებდი, იქნებ წელში გადატეხოსო. ძალიან მეწყინა, შევწუხდი, როცა ვხედავ თავს როგორ იმაგრებ, რომ არ გადატყდე და ზიანი არ მოგვაყენო, არაფერი გვატკინო. ნუთუ ჩვენზე ზრუნვით უმკლავდები სიკვდილს, მაგრამ გადაჩეხილი სიკვდილის ღირსი არა ხარ. ყოველთვის თავმოყვარე და ამაყი იყავი და ამიტომ უმკლავდებოდი სიბერესაც და ავადმყოფობასაც. გული მწყდება, რომ შენი გადასარჩენი წამალი არ არსებობს. გავიგე, რომ ხვალ დილით მოჭრას გიპირებენ. ცრემლები მახრჩობს. აივანზე გამოვედი. ღამის 3 საათია. არავის ესმის ჩვენი ერთმანეთთან გამოთხოვება. მადლობას გიხდი ყველაფერ იმისათვის, რასაც ზემოთ ვწერ. და იცი რა მინდა გითხრა — ჩემო ძვირფასო, ჩემო ლამაზო, ძალიან დაგვაკლდები, მაგრამ არ მინდა ნირწამხდარი დახვდე კაცებს, რომლებიც შენ მოსაჭრელად მოვლენ დილით, სულ რამდენიმე საათი დაგვრჩა ერთად ყოფნისა, ისეთივე ამაყი მინდა დამრჩე თვალებში, როგორიც იყავი. აივანზე ვიდგები და ვეცდები შიში გაგიქარწყლო. ვიცი, ყოველი ნაჯახის დარტყმა რამხელა ტკივილს მოგაყენებს, მაგრამ არ დაიკვნესო, არ შეუშინდე, ვაჟკაცურად გაუძელი. რამდენი ახალგაზრდა ხე გამხმარა და მოჭრილა ბოროტი ხელით. შენ ხომ შენი გასასვლელი გზა გაიარე და რა შენი ბრალია, თუ ცხოვრება ასეთია არა მარტო შენთვის, არამედ ყველასთვის. ადამიანის სული მიდის ცაში, შენც ხომ ცოცხალი ხარ და სულ ზევით და ზევით მიიწევდი და ამიტომ გახდი თვალუწვდენელი. დაბერდი ჩემო კარგო და დადგა ჟამი აღსასრულისა. დაგვლოცე, რომ შენ ასაკს მივაღწიოთ ჯანმრთელი სიცოცხლით, ჩვენი ოჯახებით, შვილებით, შვილიშვილებით. მინდა იცოდე, რომ არ დაგივიწყებ. ნუ გამიწყრები, თუ გაგიმეტებ და შენ სხეულს ცეცხლს მივცემ დასაწველად (ყველა ხის ბედი ხომ ეს არის), ამით მინდა დაგეხმარო, ამიტომ აგანთებ, აგაგიზგიზებ, რომ კიდევ ერთხელ ყველას დასანახად აელვარდე. შენი კვამლი კი ნარნარი ფრენით აუყვება ზეცის ბილიკებს და შეუერთდება უსასრულობას. სამოთხის ბაღნარს შენც დაამშვენებ და ღმერთის წალკოტში შენც დაიდებ ბინას.

ნეტავი თუ გიცნობენ ამ ეზოდან წასული სულები, თუ არადა, ისევ შენ მიეფერე ყველას, გაეხარდებათ. მაგრამ ყველაფერი ამით როდი მთავრდება. იმედად შენი ტანის ნაწილი გვრჩება, რომელმაც შეიძლება შენი შთამომავლობა კვლავაც მოგვცეს და კიდევ ერთხელ დაგვიბრუნდე! იცოცხლე, კიდევ იხარე, კიდევ იშრიალე ბებერო, მაგრამ ფესვმაგარო, უნატიფესო ალვის ხევ. დაველოდებით შენს გახარებას, აღსდექი მკვდრეთით, სძლიე სიკვდილს, რაც ჩვენთვისაც მანუგეშებელი იქნება.

ბევრისთვის გაგიძლია და კვლავაც გაუძლებ, მჯერა.

**მარიკა კვალიაშვილი,**

30.01.04. ღამის 4 საათი.

◉ ენა მდიდარი...

**განყოფილებას უძღვება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გივი ბოჯგუა**



# „და მის სიკვდილით არ გაგახარებთ“

## 4. ენის შელახვა დანაშაულის ტოლფასია!

შეურაცხყოფად ნურავინ ნუ მიიღებს, მაგრამ ბევრმა არც კი იცის — რამდენ სიტყვას შეიცავს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (ქეგლ) რვატომეული. შეგახსენებთ — 125.000-ს. მოგეხსენებათ, იგი დიდი ფორმატისაა და გვერდები დაყოფილია 2-2 სვეტად. სვეტთა რაოდენობა სულ 12.306-ია, ანუ 6.153 გვერდი. ყველაზე მცირე მოცულობისაა I ტომი (1.212 სვეტი), ყველაზე დიდი — VI (1.756 სვეტი). ჩვენი ენა იმდენად დოვლათიანია, რომ I-სა და III ტომებში მხოლოდ 2-2 ასო (ა, ბ; დ, ე) ჩაეტია, ხოლო II ტომი მთლიანად ერთმა ასომ (გ) დაიკავა.

ამ სტატისტიკით იმიტომ შეგაწყინეთ თავი, რომ ერთხელაც გავისიგრძეგანოთ — სიტყვაუხვია ქართული, ბარაქიანია, ყოვლის მთქმელი, სინონიმებითა და ეპითეტებით დახუნძლული.

მაშ, რატომ ვაკნინებთ მას, ვამახინჯებთ, ვაჩიავებთ, მრავალ მარგალიტ სიტყვას უკუვყრით უდარდელად და მათ ნაცვლად ერთ ამოჩემებულ, მდარე სიტყვას ვაჯირითებთ?! მაგალითი? ინებეთ! **მაგარი** და **მაგარიო** — აგვიკვიატებია. **მაგარს** ვეძახით ლამაზ ქალს, დიდ სიყვარულს, ლიტერატურისა და ხელოვნების უბრწყინვალეს ნიმუშებს, გამოჩენილ პიროვნებებს... ბავშვიც კი ასე მეტყველებს: **მაგარი** დედა მყავს, **მაგარი** ზღაპარი წამიკითხაო. არადა, რატომ არ გვახსენდება სანაცვლოდ: **აზრიანი, ალალი, აშოლტილი, ბეჯითი, ბრწყინვალე, დიდებული, თავდადებული, მშვენიერი, ნიჭიერი, სათუთი, სანაქებო, ტანადი, უზადო, შესანიშნავი, წარმატებული...**

ძალიან მტკენს გულს, როცა მაია ასათიანის ხალისიან „პროფილში“ ხშირად ფიგურირებს სიტყვა **მაგარი** მასპინძლისა თუ სტუმართა მეტყველებაში. ასე ვაღარიბებთ მშობლიურ ენას, ვლახავთ მილიონობით მაყურებლის თვალწინ. არც ის მომწონს, რომ ამბობენ — პროფილი“ ყველაზე **რეიტინგული შოუაო. წარმატებული წარმოდგენა** უკეთ არ ჟღერს? შევეშვათ უცხო სიტყვებს, ქართულს მოვუხმოთ!

მაიას „პროფილში“ ასევე აუტანლად, მოსაბეზრებელი სიხშირით გამოიყენება სიტყვა **ისტორია.** წამყვანი ზედიზედ, თითქოს განზრახ, ხაზგასმით მოგვმართავს: ახლა კიდევ ერთ საინტერესო **ისტორიას** გიამბობთ; მოგვიყევით თქვენი სიყვარულის **ისტორია** და ა. შ.

პირდაპირი მნიშვნელობით ცნობილია — რასაც ნიშნავს ისტორია, გადატანითი მნიშვნელობით კი იგი **ამბავია, თავგადასავალია** და ასეც უნდა გამოვიყენოთ ქართულად. ნუ გამოვეკიდებით იმას, რომ ზოგიერთ უცხო ენაში მიღებულია ეს ტერმინი. იქაც ხომ **ამბავს** აღნიშნავს იგი.

სინონიმთა თუ ეპითეტთა უგულებელყოფა, მათი სიმრავლის გამოუყენებლობა და ერთ აკვიატებულ სიტყვამდე დაყვანა, უთუოდ სხვათა სიტყვის გამოყენება მშობლიურის სანაცვლოდ, უპირველესად ენის ცუდად ცოდნის ბრალია. გიფიქრიათ კი იმაზე, რომ ასეთი საქციელით ვამცრობთ მშობლიურ ენას, რაც დანაშაულის ტოლფასია.

ასე რომ, ძვირფასო მაია, ვერ **შემოგიერთდებით** მაშინ, როცა თქვენს გადაცემაში ირღვევა მშობლიური ენის სიწმინდე.

**რჩევა წამყვანებს:** თქვენ არათუ თავად უნდა უშვებდეთ ენობრივ შეცდომებს, არამედ თქვენს სტუმრებსაც უსწორებდეთ, ოღონდ, ფრთხილად, უწყინრად, თავაზით.

დაბოლოს, გავიხსენოთ „მიხეილ ჯავახიშვილის შეგონება:

**„ყოველი მოქალაქე ვალდებულია, თავისი ენა კულტად გადააქციოს და მისი ცოდნა-შესწავლა უპირველეს ვალად გაიხადოს“.**

◉ კონფლიქტის ზონა

# აფხაზებს მარტო არასოდეს დავტოვებთ!

**(მეოთხე გვერდიდან)**

**დანამდვილებით ვიცი, რომ აფხაზებს ქართველობა არ სძულთ, ეს კი გვაძლევს იმის გარანტიას, რომ მოსახლეობა დაბრუნდეს აფხაზეთში, კერძოდ — გალის რაიონში! 2010 წლის 1 იანვარს მე შევხვდი გალში, საკუთარ სახლში. ახალი წელი ერთი საათით ადრე ვიზეიმეთ — ქართული დროით. თქვენ წარმოიდგინეთ, ქართული დროით შემოსულ ახალ წელს ყველა ოჯახში ჰაერში ფეთქებადი ფერადი ფეიერვერკებით და დიდი ზარზეიმით შეხვდნენ.**

**ოთარ ბერიშვილი არ ერიდება ხელისუფლების კრიტიკას დაშვებული შეცდომების გამო. აფხაზებთან შერიგების ინიციატივა არ გამოვიჩინეთ. პირიქით, აფხაზეთი სასპეკულაციო თემად ვაქციეთ, დევნილები კი მხოლოდ არჩევნების წინ გვახსენდება!**

**ჩვენი სახელმწიფოს წინსვლა-განვითარებას პირდაპირი კავშირი აქვს ქართული და აფხაზური საზოგადოების დაახლოებასთან, ამიტომ საჭიროა გამოკვეთილი სახელმწიფოებრივი სტრატეგია, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ არის ჩამოყალიბებული.**

**რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციამ ყველა დაზაფრა: დევნილებიც და ადგილობრივებიც. ამიტომაც ოთარ ბერიშვილს, რომელსაც ხშირი და ახლო ურთიერთობა აქვს აფხაზებთან, მიაჩნია, რომ ჩვენი მოძმე აფხაზები ამ მძიმე მდგომარეობაში მარტო არ უნდა დავტოვოთ. ამჟამად აფხაზებიც ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან. ჩვენ ისინი უნდა დავარწმუნოთ, რომ მარტო არასოდეს დავტოვებთ. რუსები დღეს სარგებლობენ ამ ორი მოძმე ხალხის დაპირისპირებით და აფხაზებს არწმუნებენ, რომ მათ საფრთხე ელოდებათ საქართველოდან. ამის დასტურად აშენებენ სამხედრო ბაზებს და „ამაგრებენ“ საზღვრებს, ქმნიან სერიოზულ თავდაცვით ზღუდეებს, არ ვიცი, რის მოლოდინში არიან...**

**ყოველივე ამას ჩვენ და აფხაზები ერთად თუ არ დავუპირისპირდებით, მაშინ ეს ძალიან ცუდად დასრულდება...**

**ლადო ქირია,**

ზუგდიდი

◎ სულიერება

# როგორ ებრძოდნენ ადგილობრივი წითელი პროფესორები ბათუმში ეკლესიის გახსნას

(მეხუთე გვერდიდან)

ამ გაჭირვებამ, რომელიც მოხდა აქ, აჭარაში, რომელიც მოხდა თბილისში, კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ჩვენ ერთნი ვართ, ჩვენ ვართ სისხლი და ხორცი დავით აღმაშენებლისა, თამარ მეფისა, ჩვენი დიდი წინაპრებისა, ჩვენი თავდადებული წინაპრებისა. აი ამ გაჭირვებამ მართალია მსხვერპლი მოგვიტანა და ამას განვიცდით და ამაზე წუხს სრულიად საქართველო, მაგრამ, ამ გაჭირვებამ შეკრა ქართველი ერი და ჩვენ ვმადლობთ ღმერთს. ჩვენი ეკლესია დღეს ეწევა დიდ მოღვაწეობას როგორც შინ, ისე გარეთ. მე მინდა დიდი კმაყოფილებით მოგახსენოთ, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე საქართველოს ეკლესიას გადაეცა ასზე მეტი ტაძარი. ეს უნდა გახდეს სულიერი ცენტრი ბათუმში. გრდაქმნის პროცესი შეეხო გამომცემლობას. ჩვენ ვამზადებთ ბიბლიებს 50-ათასიანი ტირაჟით, გვექნება ბიბლია ძველ ქართულ ენაზეც. ქართული ეკლესია ერთადერთი ინსტიტუტია, რომელიც იცავს, ინახავს ძველ ქართულ ენას. ჩვენ დღეს რომ ვბეჭდავთ ბიბლიას თანამედროვე ქართულ ენაზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თანამედროვე ქართული ენა ჩვენ შეგვაქვს ეკლესიაში, არა კანონიზირებული ტექსტი, ბრწყინვალე ტექსტია, რომელსაც ეწოდება „წმ. გიორგი მთაწმინდელის ტექსტი“, იქნება საეკლესიო. მაგრამ სახლში საკითხავად გვექნება ბიბლია თანამედროვე ქართულ ენაზე. გამოდის საღვთისმეტყველო კრებული, „ჯვარი ვაზისა“, და სხვა.

თბილისში ბოლოს, თქვენ იცით, გაიხსნა თბილისის სასულიერო აკადემია. მცხეთიდან თბილისში გადავიდა სასულიერო სემინარია. აქ ბრძანდება სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორი მამა გიორგი გამრეკელი. მე მინდა აგრეთვე დიდი კმაყოფილებით მოგახსენოთ, რომ სასულიერო სემინარიაში და აკადემიაში მოღვაწეობენ როგორც სასულიერო პირები, ისევე ჩვენი უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის პროფესორები და ამაშიც დიდია თანამშრომლობის საშუალება ჩვენ შორის. ერთიანი ძალით ვზრდით მომავალ მეცნიერებსა და სასულიერო პირებს. დიდი გელათისა, იყალთოს, გრემის აკადემიის შემდეგ საქართველოს არ ღირსებია სასულიერო უმაღლესი სასწავლებელი, სასულიერო აკადემია, და დღეს ის ჩვენ გაგვაჩნია. ამისათვის ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ გადმოგვცა შესანიშნავი შენობა სიონის წინ, სადაც დაარსდა სასულიერო აკადემია.

მინდა მოგახსენოთ, რომ ძალიან დიდი, აქტიური მუშაობა მიდის საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მიერ. ჩვენ გვაქვს კავშირი ყველა ქრისტიანულ ეკლესიასთან, როგორც მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, ისევე რომის კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებთან. ეს არის დიდი საქმე, ჩვენ ვაცნობთ ჩვენს კულტურას, ჩვენს ტრადიციებს, ვღებულობთ სტუმრებს, და ვაგზავნით ჩვენს წარმომადგენლებს. აი ახლაც, სამი ოთხი დღის წინათ, ჩვენ გავაგზავნეთ ფედერაციულ გერმანიაში სამი სტუდენტი. აგრეთვე ათენში წავიდა ჩვენი ერთი სტუდენტი, რომელმაც დაამთავრა ათენის უნივერსიტეტი და წარმატებით ამზადებს საკანდიდატო დისერტაციას. ასე რომ, სა-



მუშაო ძალიან ბევრია, ჩვენ ვცდილობთ, ეს გავაკეთოთ და მე მინდა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად, რადგან ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი, ბევრი პრობლემის წინაშე ვდგავართ. ეს არის სრულიად საქართველოს საზრუნავი.

მე მინდა მადლობა მოგახსენოთ ამ მეტად გულთბილი შეხვედრისთვის. მე ნამდვილად დიდი სიყვარულით წამოვედი ბათუმში, ეს არის ჩემი საყვარელი ქალაქი. 1960 წელს აქ დაიწყო ჩემი სულიერი მოღვაწეობა. მე გახლდით აქ 7 წლის მანძილზე და ყოველი ზღუდე, ყოველი ქუჩა ჩემთვის საყვარელი და ახლობელია. და დღეს მე მომეცა პატივი, ვიყო ბათუმის საპატიო მოქალაქე. მინდა გითხრათ, რომ მე მუდამ ვგრძნობდი თავს მოქალაქედ ბათუმის და სრულიად საქართველოსი.

ღმერთმა დაგლოცოთ! მე მინდა საქართველოს ეკლესიის სახელით, პირადად ჩემი სახელით, ჩვენი მორწმუნე ერის სახელით მადლობა მოგახსენოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას იმ ყურადღებისათვის, იმ გულისხმიერებისათვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ ეკლესიის მიმართ და მე მინდა დაგარწმუნოთ, რომ ქართული ეკლესიის ამოქმედება ბათუმში არის ისტორიული ფაქტი და თქვენი სახელები შევა არა მარტო ეკლესიისა, არამედ ჩვენი ერის ისტორიაში.

ღმერთი იყოს შემწე და მფარველი თქვენი და სრულიად საქართველოსი! გმადლობთ ყურადღებისათვის“.

**ამირან კილურაძე,**
„სრ“ საკ. კორ. ბათუმი

*P. S. მაშინ, როცა ეს ამბები ხდებოდა, აჭარაში ორად ორი მოქმედი ეკლესია იყო. ბათუმის საკათედრო ტაძრის აღდგენას ბათუმი და სრულიად აჭარა დიდი სიხარულით შეხვდა. სწორედ ამის შემდგომ დაიწყო მასობრივი ნათლობები. ქრისტეს რჯულს ეზიარნენ არა მარტო ახალშობილნი და ყრმანი, არამედ მხცოვანმა ადამიანებმაც იწყეს წინაპართა რჯულზე მოქცევა. ეს პროცესი დღესაც შეუქცევად მიმდინარეობს.*

*დღეს აჭარაში ოთხ ათეულზე მეტი ეკლესიაა, მალე მშენებარე ტაძრებიც დასრულდება და დაირეკება სამრეკლოს ზარები. გარდა ამისა, საქართველოს ამ უძველეს მიწაზე მამათა და დედათა სავანეები მოქმედებს. რაც შეეხება შუახევის რაიონის ულამაზეს სოფელ ხიჭაურს, იქ არა მარტო აჭარის, არამედ სრულიად საქართველოს აღორძინებული მართლმადიდებლური ეკლესიის, სასულიერო და საერო საგანმანათლებლო ტრადიციების ყველა სიკეთე და სიძლიერეა თავმოყრილი. ეს ის ადგილია მდინარე აჭარისწყლის მახლობლად, რომელსაც სვიმონ კანანელისა და ანდრია პირველწოდებულის ნატერფალის მადლი სცხია. აჭარა იმითაც ამაყობს, რომ სხალთის მე-12 საუკუნის ეკლესია ჟამთა ყველა მეხთატეხას გადაურჩა და აქაურმა კაცმა იგი თამარის დროის დიდების უტყვ მოწმედ შემოინახა. და ბოლოს, გონიოს ციხის ბებერ კედლებს მიღმა წმინდა მიტათა განისვენებს. შორს არაა ის დღე, როცა ქართულ ეკლესია-სავანეთა რიგს დიდაჭარაც დაამშვენებს, ადგილი, სადაც პალესტინიდან მომავალი ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი შეყოვნდნენ, ხის ჯვარი აღმართეს და ილოცეს. ქართულ მიწაზე პირველი ჯვარი და პირველი ქრისტიანული ლოცვა სწორედ აქ იყო აღვლენილი. ამ მადლმა გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა დღემდე და ეს მადლია, რომ გვიფარავს ყველა ავისა და უკეთურობისაგან.*

*ა. კ.*

◎ წინასაარჩევნო პანორამა

*ქვეყნის აღმშენებლობისათვის ღვწაში მეზღაპრეობა რომ პრიორიტეტული მიმართულება გახლავთ, საქართველოს ნაციონალურმა ხელისუფლებამ მმართველობაში მოსვლის დღიდანვე, უკვე არაერთგზის დაამტკიცა. ეს დარგი (მეზღაპრეობა, წყალწყალა დაპირებები და ტყუილები) იმდენად მომგებიანი და წარმატებული აღმოჩნდა, რომ მთავრობამ რეალურ საქმეთა კეთება, ეკონომიკის შექმნა, ადამიანთა დასაქმება და მათი კეთილდღეობის ზრდა წამგებიან სფეროდ მიიჩნია და, აქედან გამომდინარე, თავი მოიკლა და ერთხელ აღებული სვლაგეზიდან აღარ გადაუხვია. სხვა საქმეა, რომ კარსმომდგარმა თვითმმართველობის არჩევნებმა ხელისუფლებას თავის მოქექვა აიძულა და მანაც სულ სხვაგვარად დაიწყო კაკანი.*

*მაგრამ კაკანიც არის და კაკანიც. ამჯერად იმ კაკანზე მოგახსენებთ, კვერცხმომდგარ ქათამს რომ აუტყდება ხოლმე და საბუდრისკენ მიარბენინებს. ჰოდა ამ ხელისუფლებასაც მოადგა თუ არა არჩევნები, მაშინვე დაქცეული ეკონომიკის ამოწევასა და ხალხის დასაქმებაზე აკაკანდა. რა თქმა უნდა, დროებით, ვიდრე მოტყუებულ ამომრჩეველთა ხმებს გაინაღდებს, თორემ მეზღაპრეობაში დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას, არავინ დაიჯეროს, რომ ერთი ხელის მოსმით გადააგდებს.*

# ქვეყანა ტყუილებით გაიჭყიპა

## ოპოზიცია მეზღაპრეობაში ხელისუფლებას ეტოქება

ეს რომ ასეა და არა სხვაგვარად, ამ ორიოდე დღის წინათაც გამოჩნდა, როცა პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა სიამაყით აღვსილი ღიმილით გვაუწყა, რომ ქვეყნის ეკონომიკამ წარმატებით დაძლია კრიზისი და ახლა არნახული ტემპებით ვითარდება. მისი თქმით, ეკონომიკის ზრდა იმდენად დიდი და მასშტაბურია, რომ მან მნიშვნელოვნად გადააჭარბა არა მარტო გასული წლის მაჩვენებელს, არამედ 2008 წლის შედეგსაც კი, როცა ქვეყანაში ეკონომიკის ბუმი გვქონია, ჩვენ კი, რიგით ადამიანებს, გვეგონა, რომ უსაქმურობისგან ვამთქნარებდით და უჭმელ-უსმელობისგან ქუჩა-ქუჩა დავლასლასებდით. მართლაც, რა არ მოეჩვენება დაუსაქმებელ, ეჭვით დაავადებულ, მშიერ ადამიანს!

ეს ჩვენ, მაგრამ ეჭვის ჭია თვით მთავრობის წევრებს, ამ ცხოვრებით კარგად ნაპატივებ და ჭარბად გამაძღარ ჩინოვნიკებსაც რომ გაუჩნდათ, ეს რაღათი ავხსნათ? ავიღოთ, მაგალითად, თბილისის მერყოფილის და ამჟამად იმავე მერობისთვის თავგადაკლულად მებრძოლი კანდიდატის გიგი უგულავას (მან უმოკლეს პერიოდში მზის სხივისდარი სისწრაფით არაერთი პროფესია აითვისა, დაწყებული ხაბაზობით და დამთავრებული ბაქტერიოფაგის ურთულესი სპეციალობით) საარჩევნო პროგრამა, რომელიც როგორც თვითონ აცხადებს, მთლიანად ხალხის დასაქმებაზეა ორიენტირებული. ჩვენ შევცვალეთ თბილისი, ამბობს ის, გავამშვენიერეთ მისი ქუჩები, სკვერები და მოედნები, ავაგეთ ხიდები და შადრევნები, მაგრამ ეს არ არის მთავარი და არსებითი, უმთავრესია ადამიანებისთვის არა ინფრასტრუქტურა, არამედ მათი დასაქმება. კაცი თუ არ მუშაობს, ის ვერ გამოკვებავს ვერც საკუთარ თავს და ვერც ოჯახს, ვერ შეიძენს საარსებო პროდუქტებს, მედიკამენტებს, ვერ დაიკმაყოფილებს სხვა აუცილებელ მოთხოვნებსო, – დასძენს თავის ყოველ გამოსვლაში ამომრჩევლებთან შეხვედრისას მერობის კანდიდატი და იქვე ჰპირდება მათ, რომ თუ ნდობას გამოუცხადებენ და მერად აირჩევენ, თბილისში კაცს არ დატოვებს დაუსაქმებელს(!).

ამას რომ მოისმენ, არ შეიძლება მაშინვე არ გაგიჩნდეს კითხვები: აკი პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი ერთგული გუნდის წევრები ერთხმად გაიძახოდნენ, რომ მთავარი იყო ინფრასტრუქტურის შექმნა და დასაქმების პრობლემა ავტომატურად გადაწყდებაო? როგორც პრემიერი ნიკა გილაური ამტკიცებს, თუ 2008 წელს საქართველო ეკონომიკის ბუმში იყო გახვეული, მაშინ ქვეყანა როგორღა დაიმშა, ან ამდენი უმუშევარი და დაუსაქმებელი საიდან გაჩნდა? ბატონი მერობის კანდიდატი ამ კითხვებს, მით უფრო მასზე პასუხებს, რატომღაც გაურბის და პირდაპირ საქმეზე გადადის – ამირჩიეთ და ბედსა გწევთ, უმუშევრობას დედაქალაქში აღარ გავაჭაჭანებო.

არ გამოვა ისე იოლად და ჰაიჰარად ხალხის დასაქმება, ბატონო გიგი, როგორც თქვენ „გვიბოლებთ“. არც იმდენად ქორფა ჭაბუკი ბრძანდებით, არ იცოდეთ, რომ ხალხს ქალაქის მერი კი არა, ბიზნესი ასაქმებს, ის ბიზნესი, რომელსაც მცირე მეწარმეობა ქმნის (მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში დასაქმების 80-90 პროცენტი სწორედ მცირე მეწარმეობაზე მოდისძ და რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ და მათ შორის პირადად თქვენც საგულდაგულოდ გაანადგურეთ. თქვენთან ერთად არ შემიძლია გაწეული ღვაწლი დავუკარგო ყოფილ პრემიერსა და ამჟამად ოპოზიციონერ ზურაბ ნოღაიდელს, რომელმაც მთელი თავისი ენერგია და გამოცდილება მცირე ბიზნესისა და მისი დამცავი სახელმწიფო სტრუქტურების ამოძირკვას მოახმარა.

ასე რომ, ბატონო მერობის კანდიდატო, თუ თქვენ უსაქმოდ დარჩენილ თბილისელებზე ნამდვილად გული გეწვებათ, უნდა აღიაროთ ხელისუფალთა მიერ ჩადენილი უკანონობა, მეწარმეთა გამუდმებული ძარცვა და დაყაჩაღება (ის ამჟამადაც გრძელდებაძ, რამაც საქართველოში ბიზნესის განვითარების პერსპექტივა მიწასთან გაასწორა. მარტივ ლოგიკაზე მიგანიშნებთ, ხელისუფლების, მათ შორის ქალაქის მერის უპირველესი მოვალეობა გახლავთ, ებრძოლოს ბიზნესის დაყაჩაღებას, შეუქმნას მას მუშაობის ნორმალური პირობები და თუ ეს იქნება, მას ხალხის დასასაქმებლად არც მთავრობის და არც თბილისის მერის დახმარება არ დასჭირდება. მეწარმე იმის მეწარმეა, რომ ბიზნესი განავითაროს, ნიადაგ გააფართოვოს და, შესაბამისად, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაასაქმოს.

არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ მაინც მათქმევინეთ. ბატონო ხელისუფალნო, თუ ჯიბეებს არ ამოიბრუნებთ და იქიდან გადმოყრილ ნაძარცვ თანხას ბიზნესის განვითარებას არ მოახმართ, არავითარი ხალხის დასაქმება არ გამოგივათ. თქვენ რომ დამსაქმებლები იყოთ, მტკვარზე ზიზილპიპილო ხიდის ასაგებად ათეულ მილიონობით დოლარს არ გადაყრიდით, ხოლო საკუთრივ დასაქმებისათვის, როგორც თბილისის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი თინა ხიდაშელი აცხადებს, ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში 1 მილიონი ლარის გაღებას არ დასჯერდებოდით.

ამომრჩეველთა ტყუილებით გაჭყიპვასა და მეზღაპრეობაში ხელისუფლებასთან გაჯიბრება ოპოზიციამაც რომ მოიწადინა? რა დასამალია და დღეს ბევრს, უფრო კი ეკონომიკის ექსპერტებს არა სჯერათ ქრისტიან-დემოკრატების პროგრამისა: „გაზი – 10 თეთრი, დენი – 5 თეთრი, წყალი – უფასო“. როგორ აპირებენ ეს უკანასკნელნი, მაგალითად, გაზის ტარიფის 5-ჯერ შემცირებას, ცოტა არ იყოს, გაურკვეველია. როგორც ესენი ხსნიან, ხელისუფლება თითქოს არ იყენებს გაზის ტრანზიტით გათვალისწინებულ შეღავათს, რომელიც ციფრობრივ გამოსახულებაში 330 მილიონი კუბმეტრი გაზის ტოლფარდია. არ იყენებს, თუ ამ მოცულობის გაზის თანხა ხელისუფალთ საკუთარ ჯიბეში მიაქვთ? ამ კითხვაზე პასუხისგან მერობის კანდიდატი გია ჭანტურია რატომღაც თავს იკავებს და გვპირდება, რომ ამ რაოდენობის გაზის ხალხის სამსახურში ჩაყენებით, გაზსაცავის აშენებით და მასში სეზონურად ნაყიდი იაფი აირის დაგროვებით, გაზის ტარიფს 10 თეთრამდე შეამცირებს, დენისას – 5 თეთრამდე, ხოლო წყალს უფასოდ გვიწილადებს. მაგრამ გია ჭანტურია არაფერს ამბობს, საიდან მოიტანს გაზსაცავის ასაშენებელ მილიონებს, ან წყალს უფასოდ როგორ მოგვცემს, როცა ის გაყიდულია, კერძო მეპატრონე ჰყავს და იქიდან მიღებულ შემოსავალ-გასავალს კაპიკ-კაპიკ ანგარიშობს?!

რა თქმა უნდა, ამ პატარა საგაზეთო წერილში ყველა იმ ტყუილსა და შენათხზავს ვერ ჩამოვთვლი, რითაც ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები დამდეგ არჩევნებში ჩვენი გულის მოგებას ლამობენ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი: ვიდრე საარჩევნო ყუთებთან მივალთ, იქნებ ამჯერად მაინც დავფიქრდეთ, ვის ვაძლევთ ხმას?

**ოთარ ხუციშვილი**

პოეტის წლები

# დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ ფრიდონ ხალვაშს

დიდად პატივცემულო, ბატონო ფრიდონ, რაღაც თხუთმეტი წელიწადიც და, როგორც იტყვიან, საუკუნეს მოღუნავ, გასაუკუნოვდები... ერთი სიტყვით, დრო-ჟამი შენს გონიერ ჭკუაზე გყავს „მორჯულებული“, უკვე ოთხმოცდახუთი წელიწადი ეს დრო-ჟამი თვალებში გიყურებს და შენს ნებას ემორჩილება.

სწორედ შენს ნებას დამორჩილებული ეს დრო და ჟამი, მთელი მეოცე საუკუნის სამი მეოთხედი და აგერ ოცდამეერთეს უკვე პირველი ათეულიც, თამამად შეიძლება თქმა, პირთამდე სავსეა შენი მხატვრული სიტყვის მადლით.

შენ ჭეშმარიტად სახალხო მწერალი ხარ. შენი წიგნები ჩვენი ხალხის საყვარელი წიგნებია, რომელთა ავტორსაც მკითხველი თავის შეუმცდარ მოძღვრად აღგიქვამს. შენ ერთ-ერთი პირველი ქართველი მწერალი ხარ, ვის შემოქმედებაშიც პირველად იპოვა შენმა კუთვნილმა შავმა ზღვამ თავისი წილი ადგილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელი ამ ხნის მანძილზე „წვეთ წყალს არ შეუღწევია“ შენს აჭარულად მოქნეულ ღონიერ ქართულ სიტყვაში, რომელიც სამართლიანად გახდა თითოეული ჩვენგანის კეთილი მეგზური.

გაგიმარჯოს, ბატონო ფრიდონ, ღირსეულო მეოცესაუკუნელო, ალალო მამულიშვილო, მართალი სიტყვის დიდოსტატო, წინ 2025 წლისკენ, როცა მადლიერი საქართველო შენი თანდასწრებით შენს საუკუნოვან იუბილეს იზეიმებს.

საჩვიდმეტმაისოდ მიიღე ჩვენი დიდი სიყვარული და პატივისცემა, მადლიერება შენი მუდამჟამს მძაფრად ეროვნული პოზიციისთვის.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**



## მოგზაური მგოსანი

## სად არ დგმულა ჩვენი ფეხი!

**ასე იწყება პოეტის ჰიმნი, რომელიც სამყაროში ქართველური მოდგმის ღვაწლზე მიანიშნებს. ძველთაგანვე გვყავდნენ მოგზაური მოღვაწეები, აქ მხოლოდ მეხოტბე ჩახრუხაძეს გავიხსენებთ.**

თანამედროვე პოეტებში მგოსანთუხუცესს, ბატონ ფრიდონ ხალვაშს, დედამიწის ვრცელი ქვეყნები შემოუვლია. განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება შემოქმედი მეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებთ.

აპრილის შუა რიცხვებში ფრიდონი სტამბოლში ქართული კულტურის ცენტრის გახსნაზე მიიპატიჟეს. ბუდაპეშტიდან იქვე ჩაბრძანდა მომღერალი ნუგზარ ერგემლიძე, აგრეთვე კინოსა და თეატრის მსახიობი ზურაბ წინწკილაძე.

ცენტრის ხელმძღვანელმა, წარმოშობით იმერხეველმა, კაია ფაზლიმ ნაყოფიერი მოღვაწეობა გასწია ამ დიდი ტრადიციების, ერმრავალ ქალაქში ახალი კერის შესაფერის ადგილას დასავანებლად. მისი კოლეგები: ჰაიათ გოგიტიძე, დავით კაპანანი აქტიურობდნენ საშვილიშვილო წამოწყების დასაგვირგვინებლად. მშობლიური ენის, ზნეობის, კულტურის განვითარებისთვის მზრუნველნი არა მარტო სტამბოლელი ჩვენებურები, არამედ ვრცელ თურქეთში და უცხოეთის სხვა ქვეყნებში მოღვაწე ქართველებიც გამოეხმაურნენ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას. მხცოვანმა მგოსანმა თავისი ლექსების ახალგაზრდული წარმოთქმით დაატკბო მსმენელები, განაცდევინა ქართული ენის სიღრმე, სიტყვა-თქმათა ხატოვნება, გაახსენა დღევანდელ პირობებში „მემლექეთში“ მყოფთა შემართება უკეთესი მერმისთვის შეუნელებელ ბრძოლაში და დამსწრეებს, მთელ ქართველობას, მიულოცა ახალი კერის დაფუძნება.

საგულისხმოა, რომ ცნობილმა მწერალმა ფაკირ ბაიქურთმა ფრიდონ ხალვაშის ლექსები თურქულად თარგმნა და გერმანიაში გამოსცა 1988 წელს. ქართველი მწერლის 85 წლისთავის საიუბილეოდ ეს კრებული წელსაც იბეჭდება.

მრავალი ქვეყნის მომხილველი იუბილარი განაგრძობს მუშაობას „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებისთვის კარგად ცნობილ „ომრის“ მეორე ნაწილზე.

საიუბილეოდ მივიღებთ მგოსნის შემოქმედების წყაროსთავიდან მომდინარე გზის ამსახველ რჩეულს, რომელსაც ავტორმა უწოდა „ბენდი“, რაც სარწყავის სათავეს ნიშნავს.

მივეგებოთ საგაზაფხულო ნობათით დამშვენებულ ჩვენი მხნეობის ომახიან მომღერალს, მზეგრძელობა, ჯანმრთელობა ვუსურვოთ სამყაროს სხვადასხვა კონტინენტზე უებრო ხედვის კაზმული ყალიბით ჩამომსხმელ დიდ ფრიდონს!

**ფაიჯ ლანგათელი.**
15.05.2010

მწიგნობარი

# კაცი კეთილსინდისიერი

**კარჩაკეტილი სულაც არა ვარ. და მაინც: ზოგჯერ თავი მღვიმეში გამომწყვდეულ პილიგრიმად მიმაჩნია. ხალხში ვტრიალებ, მარტოობა კი მაინც მაწუხებს.**

ბოლოს ვხვდები: დიდი ხანია კეთილსინდისიერი კაცისთვის ხელი არ ჩამომირთმევია.

ჰოდა, მივიჩქარი რუსთაველის პროსპექტისკენ, იქ, №40/1 სახლთან, პატარა ჩიხში, აბრა ბრჭყვიალებს: „საქართველოს მწიგნობართა ასოციაცია“.

მეორე სართულის განაპირა ოთახში შევდივარ და ვგრძნობ, როგორ ვმაღლდები.

შოთა კობიაშვილი დინჯად დგება, ხელს მართმევს და მხარზე მკოცნის. კარგა ხანია ვიცნობ ამ კაცს და მაინც მგონია, რომ სათანადოდ ვერ ამოვხსენი.

ბატონი შოთა ნიჭიერი ლიტერატორია, ალღოიანი პუბლიცისტი, დაკვირვებული რედაქტორი, და მაინც: მის უპირველეს ღირსებად ის მიმაჩნია, რაც სათაურით გავხაზე.

კეთილსინდისიერებას მხოლოდ განათლება ვერ მოგიტანს, თუნდაც სამი უნივერსიტეტი გქონდეს დამთავრებული; ვერც თანამდებობა, თუნდაც სამ უზარმაზარ გაერთიანებას ხელმძღვანელობდე, ვერც სახელგანთქმული პიროვნებების წრეში ტრიალი, თუნდაც მათი რიცხვი სამ ათეულს აჭარბებდეს. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ნიჭი, შინაგანი მონაცემები, ღვთით მომადლებული უნარი, შემდეგ კი... რა თქმა უნდა, ვერც ოჯახს და აღზრდას დავივიწყებთ.

ძირძველი კახელია. დაიბადა თელავში. იქვე დაამთავრა სკოლა და პედაგოგიური ინსტიტუტიც.

მამა ადრე გარდაეცვალა და არცთუ იოლი გზის გავლა მოუხდა. 18 წლისა თელავის თეატრის სცენის მუშად მიიღეს. მერე რეკვიზიტორია. მოგვიანებით პატარ-პატარა როლების შესრულებაც მიანდეს. ერთ ხანს ალაზანმშენის №1 სამშენებლო სამმართველოში კადრების უფროსი ინსპექტორი გახლდათ. 1975-1983 წლებში რაიონის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილეა.

თავიდათავი მაინც ის არის, რომ კალმოსანია. სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ ლექტორ-მეგობრებმა ინსტიტუტში გაზეთ „ახალგაზრდა შემოქმედის“ რედაქტორობა დააკისრეს. ხუთი წელი კონდოლის კოლმეურნეობის მრავალტირაჟიან გაზეთს „კოლმეურნის ხმას“ უძღვებოდა. შემდეგ თელავის რაიონული გაზეთ „ალაზნის განთიადის“ პასუხისმგებელ მდივნად დააწინაურეს.

ოთხმოციან წლების დასაწყისში თბილისს მოაშურა და მთელი მეოთხედი საუკუნე საქართველოს მწიგნობართა ასოციაციას ახმარს ნიჭსა და გამოცდილებას.

შეუძლებელია არ მოეხიბლოთ იმ მინიატიურული ფორმატის წიგნებს, რომელთაც ხსენებული ასოციაცია გამოსცემს. ჰოდა, ამ საქმეში დიდია ბატონი შოთას წვლილი.

თითქმის ოცი წელია, ერთად ვსაქმიანობთ. ახლა მე ალმანახ „მწიგნობარს“ ვრედაქტორობ. ის პასუხისმგებელი მდივანია, ფაქტობრივად უფრო მეტი: თვალი, გული, ღერძი გამოცემისა.

აი, ვიწყებთ ნომრის გეგმის წინასწარ განხილვას. გასრულებული ვარიანტი გაფართოებულ კოლეგიას უნდა გავაცნოთ.

ბატონმა შოთამ ჩაიკითხა სათაურები.

– ნომერი გადატვირთული ხომ არ იქნება საიუბილეო მილოცვებით? – შევნიშნავ მე.



– მგონი მართლაც ასე უნდა იყოს... – და დელიკატური კონტრშეტევა: – ვინ ამოვიღოთ?

თავად წარმოაჩენს თითოეულის ღირსება-დამსახურებას და თვალს მისწორებს.

ასეთ შემთხვევაში თითქოს ყველაზე უპრიანია ზოგადად პასუხი:

– მოვიფიქროთ!

მაგრამ ჩვენ არ გვჭირდება დიპლომატიური ომი. ორივეს გვეღიმება.

კეთილსინდისიერება და წესრიგი სამუშაო მაგიდაზე იგრძნობა. ყველა წიგნს, ხელნაწერს, კალმისტარს თუ საშლელს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. გეგონება, სამხედრო შტაბიდან მოვლინებულ შემმოწმებელ კომისიას ელიანო.

ეს, ცოტა არ იყოს, მაოცებს. ბატონი შოთა პოეტია ბუნებით და საკუთარ თავს ვეკითხები: პოეტი და ასეთი მოწესრიგებულობა? სად გაქრა ბოჰემა?

ამას წინათ „მწერლის გაზეთში“ დაიბეჭდა მისი ლექსი.

დამამახსოვრდა შემდეგი სტრიქონები:

**„კახეთის მთვარე მშვიდი**
**და წყნარი,**
**ალაზნის ველზე**
**ჩრდილებს ირეკლავს,**
**გამოანათებს საოცარ**
**თვალებს,**
**როგორც ქავციხის ძველი**
**დიდება“.**

ასოციაციებმა შორს გამიტაცეს, წარმოვიდგინე სკოლაში ადრიანად მისული ბიჭი, რომელიც არჩილ მეორის სასახლის ციხე-გალავნის ჩამოშვავებულ ქონგურს მიშტერებია (აქ იყო თელავის პირველი საშუალო სკოლა, რომელშიც შოთა სწავლობდა). მას ზარის წკრიალის ნაცვლად ხმალთა ჭახუნი ესმის. ხედავს კიდეც გოლიათ წინაპარს, რომელიც გალავანს გადაევლება და მარჯვნივ თუ მარცხნივ კაფავს მომხდურ მტრებს...

ჰო, ჩავდგეთ კალაპოტში.

დინჯზე დინჯია. მისთვის უცხოა ენად გაკრეფა. გისმენს გულდასმით.

ძარღვის შეტოკება?

ჟესტიკულაცია?

არავითარი ამის მსგავსი. შენი ნაუბრიდან თუ რამე ძლიერ მოეწონა, გაიღიმებს, ღიმილი კი გამორჩეული აქვს – კეთილი და ბევრის მთქმელი.

გულს აგრერიგად არ გადაგიხსნის. ეს სულაც არ ნიშნავს უნდობლობას. მისი ფილოსოფია ასეთია: მხოლოდ საკუთარი თავის იმედით უნდა იყვე, ნუ შეაწუხებ სხვებს ოხვრითა თუ ჭიხვინით.

და მაინც:

ერთხელ, მცირე სერობის შემდეგ კვლავ კაბინეტში ვსხედვართ. მე თელავი, ნადიკვარი გავიხსენე.

– ნადიკვარს უფრო ხშირად იმიტომ ვსტუმრობდი, რომ მეაზროვნა. ბაღის კუთხეში გავნაპირდებოდი და ღმერთზე, სამშობლოზე და სიყვარულზე ვფიქრობდი. მეჩვენებოდა უფალი რვასაუკუნოვანი ჭადრის კენწეროდან დამცქეროდა.

როცა ჩემი გაოცება შენიშნა, თითქოს დაიბნა. მცირე შეყოვნება და აგრძელებს:

– ჩვენ ათეისტებად გვზრდიდნენ. ეს დანაშაული, უფრო მეტიც, ბოროტება იყო, არ შეიძლება დიდი რწმენისა და სიყვარულის გარეშე ცხოვრება.

მომეჩვენა, რომ სხვა შოთა კობიაშვილს ვუსმენდი.

გამოგიტყდებით, ამ დროს ჩემს მეხსიერებაში დედამისის გვარი – მოძღვრიშვილი – ამოტივტივდა. უცნაური რამ არის ეს აპერცეპცია.

ბევრი ჩვენგანის სისუსტე ის არის, რომ ეთრხელ ნათქვამს ჯიუტად ვიცავთ და ოდნავ უკან დახევა, როცა ამით არაფერი ფუჭდება, პირად სისუსტედ თუ ავტორიტეტის შერყევად მიგვაჩნია.

ბატონი შოთა სხვაგვარი კაცია, საბოლოო შედეგის სწორად განმჭვრეტი.

ერთხელ ასეთი რამ მიამბო: რედაქციაში შემოსული მასალა დავიწუნე. როცა რედაქტორს ჩემი მოსაზრებები გავაცანი, წარბი აზიდა.

– კი მაგრამ, რაღა ჩემიანის ნაწერი დაიწუნეო.

– მე არც კი ვიცოდი, რომ ავტორი მისი ახლობელი გახლდათ. გამეღიმა, მასალა რამდენადმე შესწორდა და დაიბეჭდა.

დიახ, ლავირება უნდა შეგეძლოს, თუმცა ეს რა ლავირებაა. ამ შემთხვევიდან უფრო მეტად სითბო და სიკეთე გამოსჭვივის, სხვათა პატივისცემა.

საგულისხმოა, რომ შ. კობიაშვილმა ბავშვებისათვის დაამუშავა ქართული მითები. წიგნი გამომცემლობა „ელფმა“ დასტამბა. მისი ლექსები იბეჭდება „მწერლის გაზეთში“.

მოუთმენლად ველი, როდის გამოვა მისი „გალაკტიონის გამონათქვამები“.

**ნოდარ ტაბიძე**

***P. S. ჩვენს ცხოვრებას სწორედ შოთა კობიაშვილის მსგავსი პიროვნებები მატებენ ძალას და მომხიბვლელობას. კეთილსინდისიერება გადამდებია.***

***ნ. ტ.***

◎ კალათბურთი

# აქეთურ-იქითური

**სუპერლიგაში უკვე ფინალური მატჩების სერია დაიწყო, რუსთავის „ენერჯი ინვესტის" დამმარცხებელი კი ჯერ არ ჩანს და, ადვილი შესაძლებელია, არც გამოჩნდეს. ამის თქმის საფუძველს მზადყოფნის ის დონე გვაძლევს, რომლითაც მიხეილ ბერუაშვილის შეგირდები ყველა მეტოქეს აღემატებიან.**





საფიქრებელი იყო, რომ ტრადიციის დარღვევას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი შეეცდებოდა. სტუდენტებმა მართლაც ყოჩაღად დაიწყეს დასკვნითი პლეი-ოფის პირველი გასვლითი შეხვედრა, საწყისი პერიოდი მოიგეს კიდეც – 20:17, მაგრამ ამის შემდეგ მოვლენები კარგად ნაცნობი სცენარით განვითარდა და მასპინძლებმა უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე – 80:69. **ყველაზე შედეგიანები:** ტუღუში – 16 ქულა, ბოისა – 15 ქულა, ბაბიაშვილი – 14 ქულა, ტილფორდი – 11 ქულა („ენერჯი ინვესტი"ძ; მინაშვილი – 18 ქულა, ხეცურიანი – 15 ქულა (თსუძ.

ამრიგად, სერიაში, რომელიც სამ მოგებამდე გაგრძელდება, დაწინაურდნენ ქვემოქართლელები – 1:0. ისინი დღესაც საკუთარ დარბაზში მიიღებენ ნუგზარ ჭეიშვილის კრებულს, ხოლო 17 მაისს თბილისის სპორტის სასახლეს ეწვევიან.

* * *

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (ნბაძ აღმოსავლეთ კონფერენციის მეორე ფინალისტი „ბოსტონ სელტიქსი" გახდა, რომელმაც დასკვნითი მატჩი შინ რეგულარული სეზონის გამარჯვებულ „კლივლენდ კავალიერზს" 94:85 მოუგო და სერიაში 4:2 იმძლავრა.

სტუმრებს ვერც ლეგენდარული ლებრონ ჯეიმსის დიდებულმა თამაშმა უშველა, რომელიც სამმაგი დუბლით გამოირჩა – 27 ქულა, 19 მოხსნა და 10 შედეგიანი გადაცემა.

**გადამწყვეტ რაუნდში მასაჩუსეტსელთა მეტოქე „ორლანდო მეჯიქი" იქნება.**

◎ სარედაქციო ფოსტიდან

# კეისარს – კეისრისა



თბილისის ერთ-ერთ კოლორიტულ უბან ნაძალადევში დაიბადა და საშუალო სკოლაც იქვე დაამთავრა გასული საუკუნის 70-80-იანი წლების დინამოელთა ყველაზე უხვმოსავლიანი თაობის მთავარმა შემოქმედმა ნოდარ ახალკაცმა.

მოგეხსენებათ, მოგვიანებით მან საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ ჩემპიონატს და შექმნა საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაცია, რომლის პირველი პრეზიდენტიც თვითონ გახლდათ. ფასდაუდებელია „ფარსადანოვიჩის" ღვაწლი ფიფასა და უეფაში სფფ-ს გაწევრიანების საქმეში.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინ, როცა დედაქალაქს მრავალი საეჭვო რეპუტაციის მქონე გადამთიელის სახელობის ქუჩა „ამშვენებს", ქართული ფეხბურთის ბერმუხას გარდაცვალების შემდეგაც არ ეღირსა მსგავსი პატივი. აღარაფერს ვამბობთ მემორიალურ დაფაზე.

ვიმედოვნებთ, ამ უსამართლობას უახლოეს მომავალში დაესმება წერტილი. დაგვეთანხმებით, ნოდარ ახალკაცი ამას ჭეშმარიტად იმსახურებს.

დურმიშხან ცინცაძე

◎ ოლიმპიზმი

# თამაშები – აფრიკაში?

**ჯერ დიდი ამბავი ატყდა შავ კონტინენტზე ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის ინიციატივაზე. მისი ნათქვამი აღსრულდა და ივნისში უკვე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მუნდიალის მომსწრენი გავხდებით.**

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. და აი, უკვე ლაპარაკია აფრიკაში 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადის გამართვაზეც. ეს ინიციატივა კი ეკუთვნის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკძ პრეზიდენტს ჟაკ როგეს. მისი თქმით, თუკი აფრიკის ერთ-ერთი ქვეყანა მოითხოვს და შეიტანს განაცხადს, მაშინ ყველაფერი წესრიგში იქნება.



თუმცა ისტორიაში ჯერ არც ერთ აფრიკულ ქვეყანას არ გამოუთქვამს ოლიმპიადის მასპინძლობის სურვილი. ასე რომ, როგეს თქმით, აფრიკას ამის დიდი შანსი აქვს. მით უმეტეს, რომ ივნისში სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში გაიმართება სოკის 123-ე სესია.

ჟაკ როგემ ისიც განაცხადა, რომ არავითარ საშიშროებას არ გამოიწვევს 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების ორგანიზებაზე დიდ ბრიტანეთში მთავრობის შეცვლა.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

◎ ახალ ამპლუაში

# დევიდ ბექჰემი – მწვრთნელი



**როგორც ჩანს, დევიდ ბექჰემი ნამდვილად დაეხმარება ფაბიო კაპელოს ინგლისის ნაკრების გაძღოლაში ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკაში. თუმცა ის, როგორც ამერიკული „ლოს-ანჯელეს გელექსის" მოთამაშე, არ იქნება ინგლისის გუნდის საწვრთნელ ბანაკში ავსტრიაში, რადგან ბექჰემი ამჟამად ტრავმებს იშუშებს.**

ინგლისის მთავრობას უნდოდა, რომ ბექჰემი დახმარებოდა 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის განაცხადის განხორციელებაში. ახლა კი ჩემპიონატის დროს დევიდი ძალზე დაკავებული იქნება სამწვრთნელო მუშაობით.

ამავე დროს ინგლისის ნაკრების გულშემატკივართა გასახარად უნდა ვთქვათ, რომ ნაკრებისა და „ჩელსის" ფეხბურთელი ჯონ ტერი დროზე იშუშებს ტრავმებს და ალბათ დღეს გავა მინდორზე ინგლისის თასის ფინალში „პორტსმუთთან" და წავა სამხრეთ აფრიკაშიც.

◎ კადრი



◉ რეფორმა

# სკოლებში ვიდეოკონტროლსაც შემოიღებენ

**რამდენიმე დღის წინათ „ბიზნეს-კურიერში“ გავიდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მალე დაწყებითსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ელექტრონული ბაზა შეიქმნება. კონკრეტულად პროგრამა, რომელიც განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში მიმდინარეობს, 2011 წლის ბოლოდან ყველა სახელმწიფო სკოლაში გავრცელდება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განმარტებით ასეთი სისტემის დანერგვა მოსწავლეთა რეგისტრაციას, განრიგს, აღრიცხვას, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასა და ელექტრონული ჟურნალების შემოღებას შეუწყობს ხელს.**



მსგავსი სისტემა უკვე ფუნქციონირებს რამდენიმე კერძო სკოლაში. იქ მშობლებს საშუალება აქვთ ონლაინ-რეჟიმში ადევნონ თვალი შვილების არა მარტო ნიშნებს, არამედ — ყოფაქცევას და გაკვეთილებზე დასწრების სიხშირეს. მსგავსი მეთოდი მიღებულია ევროპის სკოლებშიც და იქ არანაირი გართულება არ მოჰყოლია. თუმცა, როცა ასეთ ექსპერიმენტს საქართველოში ატარებ, გადაწყვეტით ძნელია თქმა, გაამართლებს თუ არა, უპირველესად, მენტალიტეტის, შეხედულებათა გარკვეული ერთობლიობის გამო. შეიძლება კარგიც იყოს იგივე მანდატურთა ინსტიტუტის შემოღება სკოლებში, გარკვეული ზომების მიღება დასწრების უზრუნველსაყოფად და გახშირებული ძალადობის შესამცირებლად, მაგრამ არის მეორე მხარეც — იმოქმედებს თუ არა ბავშვის ფსიქოლოგიაზე მუდმივი თვალთვალისა და კონტროლის განცდა. ყველაფრის ბრმად გადმოღებამ ჩვენს რეალობაში, განსაკუთრებით განათლების სისტემაში, ბევრი უარყოფითი შედეგი მოგვცა. უბედურება ისაა, რომ ამ შეცდომების გამოსწორება, როგორც წესი, ძალიან ძნელია და დიდ დროსთანაა დაკავშირებული.

ალბათ ამ მწარე გამოცდილების ბრალია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, მოსწავლეთა საინფორმაციო სისტემა პილოტირებას საქართველოს მასშტაბით ოც სკოლაში და ოთხ რესურსცენტრში გაივლის. ამასთან, ეს სიახლე USAID-ის მხარდაჭერით ხორციელდება. საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც დიმიტრი შაშკინმა და USAID-ის მისიის დირექტორმა ჯონათან კონლიმ მოაწერეს ხელი.

იმის მიუხედავად, რომ განათლების სამინისტრო ჩვეულ ამპლუაშია და თავის შემოთავაზებულ სიახლეს თავდაუზოგავად გვიქებს, საზოგადოების აზრი, რომლის ნაწილმაც ალბათ ჯერ არც კი იცის, რას გულისხმობს ახალი რეფორმა, როგორც ყოველთვის გაიყოფა. თუნდაც ის ავიღოთ, რომ ახალგაზრდა პედაგოგები ჟურნალისა და დღიურის წარმოებაზე ბევრად უფრო მარტივად კომპიუტერთან მუშაობას მიიჩნევენ, შუახნის პედაგოგებს კი პირიქით, ახალ ტექნოლოგიებს ძველი გამოცდილი მეგობრები — კალამი და ფურცელი ურჩევნიათ. სტაჟიანი პედაგოგების ნაწილი ფიქრობს, რომ ამ მიზეზით სამსახურის დატოვება მოუწევს. მშობლების უმრავლესობა სიახლეს ერთხმად მიესალმება. მოსწავლეებს კი ერთიანი აზრი არ აქვთ, მაგრამ მშობლებიდან გამუდმებული კონტროლის პერსპექტივა არ ხიბლავთ.

**განათლების რეფორმის ფარგლებში სკოლებში ვიდეოკამერებიც დამონტაჟდება. ვნახოთ, გაამართლებს თუ არა ახალი რეფორმის კიდევ ერთი ნაწილი ქართულ სკოლებში.**

**ანა წიწილაშვილი**

◉ ინფორმაცია

## გაიხსნა დაზარალებულთა დახმარების ცენტრი

**დაზარალებულთა დახმარების ცენტრი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის შენობაში განთავსდა და იგი მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ გახსნა.**

**დაზარალებულთა დახმარების ცენტრში კონკურსის წესით შერჩეული ორი თანამშრომელი დასაქმდება, რომლებმაც სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ინტენსიური ტრენინგები უკვე გაიარეს. დაზარალებულთა ცენტრების მთავარი ამოცანა დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირების დახმარება იქნება, ცენტრში მათ უფლება-მოვალეობებს განუმარტავენ, საჭიროების შემთხვევაში იურიდიული დახმარების სამსახურთან გადაამისამართებენ, ტრეფიკინგისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული ღონისძიებების შესახებ ცნობებს და სხვა საჭირო ინფორმაციას მიაწოდებენ.**

**ანალოგიური დაწესებულება უკვე ფუნქციონირებს ქუთაისში, უახლოეს მომავალში კი გაიხსნება ბათუმშიც.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

◉ ახალი კრებული

**გამოვიდა ფილოსოფოსის გუნდოლფ გიერათის წიგნის — „გერმანელი მისტიკოსების“ ქართული თარგმანი. კრებული 1977 წელს გერმანულად გამოცემულია ციურიხ-კიოლნში. თარგმანი შესრულებულია ცნობილი თეოლოგისა და მთარგმნელის ვიქტორ რცხილაძის მიერ. კრებულს წინ უძღვის მთარგმნელის შესავალი. მასვე ეკუთვნის თანდართული კომენტარები. შემდეგ მოდის შემდგენლის გუნდოლფ გიერათის წინასიტყვაობა.** სანამ მასში შესული გერმანელი მისტიკოსების შესახებ რამეს ვიტყვი, მანამ მსურს ორიოდე სიტყვით შევეხო ქართველ მისტიკოსებს და ქართულ მისტიკურ ლიტერატურას. აღსანიშნავია, რომ თუ გერმანიაში ასკეტურ-მისტიკური მიმდინარეობა შუა საუკუნეებში აღმოცენდა და გავრცელდა, მისი არსებობა, ჯერ კიდევ VII საუკუნეებში, უდავოა. ამ დროს უკვე საქართველოში არსებობდა ქართული ორიგინალური ასკეტურ-მისტიკური თხზულება. ესაა მარტვირი მონაზონის საბა-წმინდელის ნაწარმოები „სინანულისათვის და სიმდაბლისა“, რომლის სახით ჩვენ გვაქვს ქართული ასკეტიკის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში (კ. კეკელიძე). განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ამ ჟანრში თარგმნილი ლიტერატურა, ასკეტურ-მისტიკურ ლიტერატურის გავრცელებას საქართველოში ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ VI საუკუნეში შემოვიდნენ „ათცამეტი ასურელი მამანი“, რომელთაც გააჩაღეს სამონასტრო ცხოვრება, სადაც შეიქმნა ასკეტურ-მისტიკური მწერლობა და, ბუნებრივია, თარგმნიდნენ კიდეც. თარგმანთაგან შეიძლება დავასახელოთ ანტონ დიდი, რომელმაც შემოიღო ეგრეთ წოდებული დაყუდებითი ან განშორებითი „მწირული მოღვაწეობა“. დღემდეა შემორჩენილი ანტონ დიდის აფორიზმებისა და დარიგებების ქართული თარგმანი და სხვ. ამ საუკუნეებშია ქართულად თარგმნილი — მარკოზ მონაზონის, არსენ ჰრომაელის, სვიმონ მესვეტის, იოანე მოსხის, იოანე სინცის, მაკარ მეგვიტელის, ეფრემ აზურის და სხვათა ასკეტურ-მისტიკური თხზულებანი. მათ თარგმნიდნენ ეფრემ მცირე, ექვთიმე ათონელი და სხვ.

ქართული ასკეტურ-მისტიკური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვით მკითხველ საზოგადოებას შევახსენე, რომ ქართული მწერლობა ადრიდანვე, ყველა დროსა და ეპოქაში მსოფლიო სულიერი და მატერიალური კულტურის მიმდინარე პროცესსა და ორბიტაში აქტიურად იყო ჩართული და თავისი წვლილი შეჰქონდა მის გამდიდრება-განვითარებაში.

მივუბრუნდეთ ხსენებულ კრებულს. როგორც ვთქვით, მას წინ ერთვის შემდგენლის — გუნდოლფ გიერათის საკმაოდ მოცულობითი შესავალი, რომელშიც ჯერ ზოგადად არის განხილული მისტიკის ძირითადი არსი, მისი მიზანი და გზები, შემდეგ გადმოცემულია გერმანული მისტიკის აღმოცენება-განვითარების ისტორია და სპეციფიკური ნიშან-თვისებანი.




# გერმანელი მისტიკოსები

ნიშანდობლივია, რომ გერმანულ მისტიკაში ქალების მოზღვავება ფაქტი იყო, რასაც რელიგიის ზოგიერთი მკვლევარი ეკონომიკური სიდუხჭირით, შინა და გარე ომებით, განსაკუთრებით ჯვაროსნული ომით ხსნის. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება გუნდოლფ გიერათი, რომელიც ფიქრობს, რომ გერმანული მისტიკის გასაგებად უნდა ამოვიდეთ XII საუკუნის რელიგიური მიმდინარეობებიდან. ამ პერიოდში მომძლავრდა რელიგიური მოძრაობები, რომელიც მწვავე რეაქციას გამოხატავდა ეკლესიის ფეოდალური სისტემისა და სასულიერო წოდების ზნედაცემულობის წინააღმდეგ. ისინი მოუწოდებდნენ, შეექმნათ ახალი ქრისტიანული ცხოვრების ფორმა, ნებაყოფლობით გამხდარიყვნენ ღარიბნი და უმანკოება დაეცვათ. ერთი სიტყვით, სახარების მიხედვით ეცხოვრათ, მოციქულთადარი უბრალოებით. ამ რელიგიური მოძრაობის ნაწილი გვერდს უვლიდა ოფიციალურ ინსტიტუტებს ან სულაც უარყოფდა ან მანიქეველურ-დუალისტური მოძრაობისადმი სიმპატიებს ამჟღავნებდა და უპირისპირდებოდა ეკლესიას. ასეთ ისტორიულ ვითარებაში დაარსდა წმინდანების — ფრანცისკოს და დომინიკეს ორდენები. ეს გლახაკთა ორდენები ფართოდ გავრცელდა უკვე XIII საუკუნეში გერმანიაში. აგრეთვე, ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში თავი იჩინა ანალოგიურმა რელიგიურმა მოძრაობამ. აქაც ძირითადი იდეა იყო სიღარიბისა და უბიწოების დაცვა. ამ მოძრაობაში უპირატესად ჩაბმული იყვნენ არისტოკრატიული წრეების წარმომადგენელი ქალები, რაინდთა და მდიდართა ფენის მანდილოსნები. იგი ფართოდ გავრცელდა XIV საუკუნის დასაწყისში. მარტო გერმანული პროვინციის ფარგლებში არსებობდა დაახლოებით 70 დომინიკელ ქალთა მონასტერი.

ვფიქრობთ, საინტერესოა ისიც, რომ გერმანული მისტიკის ტიპურ ნიშნებს გუნდოლფ გიერათი ასე გამოყოფს: აძსქოლასტიკური დაფუძნება, ბძ ნეოპლატონური ელემენტი, გძ გერმანული ენა, დძ განმცდელი სული. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, მისტიკა, მისტიციზმი არ ნიშნავს პესიმიზმს, სიცოცხლის სიძულვილს. მისტიკოსებმა კარგად იციან, რომ პირველცოდვის გამო საფრთხე ღრმადაა დამარხული ადამიანის გულში: „აფექტური“ ცხოვრება და მასთან დაკავშირებული სულის ამღვრევა. იგი ცდილობს გამოსტაცოს ადამიანი მას. სულისადმი მათი მზრუნველობაა მიზეზი, რომ იგი ატარებს ძლიერ ასკეტურ ხასიათს (გუნდოლფ გიერათიძ. აქედან გამომდინარე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მისტიკოსები მარტო იმ ადამიანებს მიმართავენ, რომელთაც არ უყვართ შუა გზაზე შეჩერება და, მადლის შეწევნის პირობით მაღალი იდეალიზმითა და სრული მზადყოფნით, მთელი სერიოზულობით ეკიდებიან ამ სიტყვებს — „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“ (მათე, 5,48ძ.

ყურადსაღებია ისიც, რომ მისტიკოსებს დიდი წვლილი მიუძღვით გერმანული ენის და პროზის განვითარებაში.

კრებულის მეორე განყოფილებაში მოთავსებულია გერმანელ-მისტიკოსთა ბიოგრაფიები და მათ თხზულებათა ცალკეული ტექსტები. მათგან შეიძლება დავასახელოთ: დავით აუგსბურგელი, დიონისე კარტოიზერი, მაისტერ ეკჰარტი, ელიზაბეთ შიონაუელი, გერტრუდ დიდი, იორდან საქსონელი, ბეხტილდ მაგდებურგელი, იოანე ტაულერი და სხვ.

ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ ბატონი ვიქტორ რცხილაძე მოამზადებს და გამოსცემს ანალოგიურ კრებულს ქართველ ასკეტ-მისტიკოსებზე.

**ზონდო არველაძე**

◉ წარდგენა

# მოდი, სიყვარულზე ვილაპარაკოთ...

**გამომცემლობა „ინტელექტმა“ მწერალ მაკა ჯოხაძის ახალი წიგნის წარდგენას უმასპინძლა. მაკა ჯოხაძე ცნობილი პროზაიკოსი, პუბლიცისტი და კრიტიკოსია. მის კალამს ეკუთვნის მრავალი რომანი, ესეი, ლიტერატურული წერილი და მოთხრობა. მისი შემოქმედება 1969 წლიდან იბეჭდება და ფართო საზოგადოებას შანსი ექლევა, კიდევ ერთხელ გაიცნოს ქალბატონი, რომელიც ყოველთვის სიყვარულით და სიმართლით წერს.**




ბოლო 10-15 წელიწადია მწერალს წიგნი არ გამოუცია. ახალ წიგნში კი რომელსაც „სამოთხე უსიყვარულოდ“ ჰქვია, თავმოყრილია ესეიები, ლიტერატურული და კრიტიკული წერილები, რომლებიც ამ წლების განმავლობაში პრესაში ქვეყნდებოდა. ამ წიგნით მკითხველი მაკა ჯოხაძეს უკეთ გაიცნობს, როგორც ესეისტს. მისი ესეების ძირითადი ნაწილი კი ეროვნული საკითხების გამოხმაურებაა, იგი წერს საჭირბოროტო საკითხებზე და ეხმაურება საზოგადო მოვლენებს.

ამდენწლიანი პაუზის შემდეგ მაკა ჯოხაძემ საინტერესო წიგნი შესთავაზა მკითხველს. ეს მისი მეთორმეტე წიგნია, რომელიც შვილიშვილს — სანდროს მიუძღვნა. „სამოთხე უსიყვარულოდ“ — შემთხვევით არ დაარქვა მაკა ჯოხაძემ ამ წიგნს. როგორც მწერალი და პიროვნება, ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ სიყვარულის უკმარისობაში ხედავს. სწორედ ამიტომ ის სიყვარულისკენ მოგვიწოდებს, რაც კარგად ჩანს წიგნის შესავალშიც — „სისხლიანი მეტაფორა“. „მოდი, სიყვარულზე ვილაპარაკოთ, მოდი, სინათლეზე ვილაპარაკოთ, მოდი, ნატვრაზე ვილაპარაკოთ, მოდი, ფიფქზე ვილაპარაკოთ, მოდი იმედზე ვილაპარაკოთ“... იგი წერის პროცესში სიყვარულს სიბრძნედ აქცევს და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ძალიან ბუნებრივად გაჯერებს, რომ ნებისმიერი სამოთხე უსიყვარულოდ ნამდვილი ჯოჯოხეთია.

ახალი წიგნის წარდგენა მაკა ჯოხაძეს მეგობრებმა და საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა მიულოცეს. სიტყვით გამოვიდნენ: ლევან ბრეგაძე, იოსებ ჭუმბურიძე, მანანა გაბაშვილი, ნათელა არველაძე, ზვიად კვარაცხელია, როსტომ ჩხეიძე. მან მაკა ჯოხაძეს ქართველი ვირჯინია ვულფი უწოდა.

დაბოლოს, ყოფილი სტუდენტი ყოფილმა ლექტორმა ბატონმა ნოდარ ტაბიძემ კიდევ ერთხელ შეაქო. იოსებ ჭუმბურიძემ მაკა ჯოხაძეს თანამედროვე ქართული მწერლობის სინდისი უწოდა. მაკა ჯოხაძემ მადლობა გადაუხადა გამომცემლობა „ინტელექტს“ და კახმეგ კუდავას სრულიად უსასყიდლოდ ასეთი საჩუქრისთვის.

**ხატია მუსერიძე**

◉ წარდგენილია ეროვნულ პრემიაზე

# ქართულ მზეს პარიზის სიმბოლოდ გამოიყენებენ?



**საგამოფენო ცენტრ „კოპალაში“ რეზო (ემელიანეძ ადამიას პერსონალური გამოფენა გაიხსნა. საქართველოს სახალხო მხატვარი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, დიჟონის საერთაშორისო გამოფენის დიპლომის მფლობელი, პარიზის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მუდმივი წევრი რეზო ადამია საქართველოს ეროვნულ პრემიაზეა წარდგენილი.**

„კოპალაში“ კიდევ ერთხელ შეგიძლიათ მოიხილოთ „პარიზული პეიზაჟები,“ „თოვლი სამეგრელოში“ და ქართული ხატები. მხატვრის თქმით, ამ სამ ციკლს სიყვარული აერთიანებს. საოცარი განცდით იწერება ხატები, პარიზული მზეები და კოლხეთის თოვლიანი იდუმალება. იგი მსოფლიოს ხელოვნების ცენტრის მიწვევით პარიზში ცხრაჯერ იმყოფებოდა და ფრანგები ქართული სულით გამთბარი პარიზული პეიზაჟებით გააოცა.

მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ **გია ჯანბერიძემ** რეზო ადამიას ამ ციკლს შემოდგომის გაზაფხული უწოდა. „დღევანდელი საანგარიშო გამოფენა განსაკუთრებულია, რადგან ეროვნულ პრემიაზეა წარდგენილი. ამიტომაც სხვა რაკურსითა და გულისყურით დავათვალიერეთ. ბატონი რეზოს შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ ხატწერას, რომლის მიმართაც მოწიწებასა და რუდუნებას გამოხატავს. აღსანიშნავია მაღალი ოსტატობა, რაც წითელი მზეების სერიაში თვალნათლივ იგრძნობა. ასეთი მზეები არც ერთი მხატვრის შემოქმედებაში არ გვხვდება.“

საქართველოს კულტურის ყოფილმა მინისტრმა **ვალერი ასათიანმა** აღნიშნა, რომ რეზო ადამია თავის დამოკიდებულებას გამოხატავს არა მარტო ჩვენი ოდინდელი ბრწყინვალებისა და წარსულის მიმართ, არამედ თანამედროვე სამყაროს შესანიშნავად ხედავს ბრწყინვალე ფილოსოფიური ესეებით, წერილებით, ეხმიანება იმ ტენდენციებს, რაც ხდება თანამედროვე სახვით ხელოვნებაში.



გამოჩენილმა კომპოზიტორმა **ვაჟა აზარაშვილმა** წითელი მზეების სერიას სტენდალის „წითელი და შავი“ უწოდა. ხოლო **რევაზ მიშველაძემ** ყურადღება გაამახვილა კონტრასტზე, რაც ასე იგრძნობა პარიზულ და სამეგრელოს სურათებში. რა საერთო აქვს პარიზს როტრდამითა და მონმარტრით და – კოლხეთს, სამეგრელოს, სენაკს? როგორ იგრძნობა მხატვრის გრძნეული თვალით დანახული ეს კონტრასტი, როგორაა აქ დავანებული პარიზის სუნთქვა ფერებით, განსაცვიფრებელი განათებით და ის სევდა, რომელიც ახლავს ოდეზს და ზამთრის პეიზაჟებს.

**ნუგზარ ერგემლიძემ** დასძინა, რომ რეზო ადამიას შემოქმედებაში კარგად იგრძნობა კონტრასტი პარიზსა და ჩვენს ყოფიერებას შორის. „პარიზი ყველა მხატვრისა და პოეტის საოცნებო ქალაქია და ეს მზე ისეა ჩაღვრილი, რომ ვგონებ, პარიზის სიმბოლოდ შეძლება თავად პარიზელებმა გამოიყენონ ბარათებზე, მარკებზე...“

მხატვრის პროვნულ ღირსებებზე ისაუბრეს **ჯანსუღ ჩარკვიანმა, ნოდარ ლომოურმა, მიმოზა ცანავამ**... რეზო ადამიას შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა **მამუკა ქაცარავამ.**

გამოფენის გახსნის დღესაც აღნიშნეს და თავს უფლებას მივცემ გავიმეორო ეს სიტყვები: იმედია, ჟიური ჩვენი ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეების აზრს ანგარიშს გაუწევს, კეთილგონიერებას გამოიჩენს და ბატონი რეზო ადამიას შემოქმედებას სათანადოდ დააფასებს.

**თამარ შაიშმელაშვილი**
**მურად ალაშვილის ფოტო.**

◉ დღის კალენდარი — 15 მაისი

**ხსენება წმიდათა შორის მამისა ათანასე დიდისა, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა (373 წ.; წმიდა მოწამე ესპერ და ზოიასი და ძეთა მათთა კირიაკე და თეოდულესი (II წ.; წმიდა კეთილმსახურისა მთავრისა, მოციქულთა სწორისა ბორის – მიხეილ, ბულგარელისა (906-907 წ.; წმიდა კეთილმსახურთა მთავართა რუსეთისა ბორისისა და გლებისა (1072 და 1175 წ.**



ამოდის 04.42
ჩადის 19.14



ამოდის 22.04
ჩადის 05.37

## დაიბადნენ:

**1567 – კლაუდიო მონტევერდი,** იტალიელი კომპოზიტორი, გარდაიცვალა 1643 წელს.
**1845 – ილია მეჩნიკოვი,** რუსი ემბრიოლოგი, ფიზიოლოგი და პათოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1916 წელს.
**1891 – მიხაილ ბულგაკოვი,** დიდი რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1940 წელს.
**1893 – კონსტანტინე გამსახურდია,** დიდი მწერალი-კლასიკოსი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1975 წელს.
**1895 – იოსებ ჟორდანია,** ექიმი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1962 წელს.
**1921 – მედეა ჩახავა,** თვალსაჩინო მსახიობი.
**1925 – ირაკლი ღუდუშაური,** მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.
**1934 – გივი ბერიკაშვილი,** ცნობილი მსახიობი.

## გარდაიცვალნენ:

**1857 – ვასილ ტროპინინი,** ცნობილი რუსი მხატვარი-პორტრეტისტი.
**1935 – კაზიმირ მალევიჩი,** მხატვარი, ევროპული ავანგარდიზმის ერთ-ერთი კორიფე.

## მოვლენები:

1879 – დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.
1922 – უმაღლეს სამხატვრო ტექნიკურ სახელოსნოთა ბაზაზე გაიხსნა თბილისის სამხატვრო აკადემია – უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი საქართველოში.
1955 – ავსტრია გამოცხადდა დამოუკიდებელ, ნეიტრალურ სახელმწიფოდ.

**მედიანიუსი**

„ოჯახის მკურნალი“
ჰომეოპათიის (თ. ალაშვილი – დირექტორი), ქართული ტრადიციული მედიცინის (ნ. ნაჭყებია), ბავშვთა მანუალური თერაპიის (თ. მინოშვილი), მასაჟის და სამკურნალო ფიზკულტურის კლინიკა
რუსთაველის 28/ალ. ჭავჭავაძის 2ა,
98-64-86, 98-99-55, (899) 55-99-61.
www.alashvili.com

აუდიტი 34-84-83, 899 49-19-97

◉ კადრი



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +14 – +26 |
| ქუთაისი. | +18 – +29 |
| ბათუმი. | +14 – +24 |
| ზუგდიდი. | +16 – +26 |
| თელავი. | +14 – +24 |



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7839 ლარი |
| 1 ევრო | – 2.2461 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6357 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9743 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2199 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2507 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1742 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6127 ლარი |



◉ ანეკდოტები

მსოფლიოში ყველაზე თავხედი და ურცხვი არსებები მამაკაცები არიან: ერთთავად იქ ძვრებიან, საიდანაც გამოძვრნენ.

* * *

– თქვენი სექსუალური ორიენტაცია?
– კათოლიკე მღვდელი.

* * *

სტუდენტი პაემანზე წასასვლელად ემზადება და დედას ფულს სთხოვს.
– არ მოგცემ! – კატეგორიულია დედა.



– აბა, შვილიშვილი მინდაო?
– მოგცემ, დედა გენაცვალოს, რამდენი გინდა?

* * *

კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან. ახლა მთავარი ისაა, როდის გაჩნდება ასეთი კანონები საქართველოში.

* * *

ქალი, რომელსაც დაქალმა საიდუმლოდ გაანდო, მტანჯველი არჩევანის წინაშე დგას: ვის გაუზიაროს პირველ რიგში ეს ინფორმაცია?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.